# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 4 მარტი. 2024 წ. №26 (9706) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


ერისა და ბერის გასაგონად!



იხ. 8 გვ.

## უსაქართველოდ აფხაზეთის გადარჩენაც კი წარმოუდგენელია!



7

## გულქართლი მწერალი მერაბ ელიოზიშვილი

კვირის პუბლიცისტური განსჯა



იხ. 3 გვ.

## ჩინეთი საქართველოს მხარეზე, ფაშინიანი პუტინის წინააღმდეგ



7

## მარტოსული ნიკალა ჩვენი სიამაყეა!

ციკლიდან – „არა შეჯდა მწყერი ხესა“!..

მინისტრი გადამდგარა?!

## რა გააკეთე, ან, რა გააფუჭე?!



იხ. 2 გვ.

ზურაბ ბოცვაძე:

პროფესორი, სასიცოცხლო ენერგიით მკურნალი



9

## საავადმყოფოების რაოდენობა კი არ უნდა გაიზარდოს, არამედ პირიქით, უნდა შემცირდეს!



იხ. 5 გვ.

## ამერიკისგან თავში წამორტყმის პოლიტიკა დასრულდა?!

# მინისტრი გადამდგარა?!



**ჯანდაცვის მინისტრის მოულოდნელმა(?!) გადადგომამ ერთი, ადრე გამოქვეყნებული „მოგონება“ გამახსენა... ისე, მოულოდნელი, შესაძლოა, სხვისთვის იყო, თორემ რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან დაკავშირებული „სკანდალი“ მინისტრის გადადგომით რომ უნდა დამთავრებულიყო, ეს პოლიტიკასა და მის ტექნოლოგიებში ოდნავ ჩახედულ-გარკვეული ადამიანებისთვის დღესავით ნათელი გახლდათ. არ მინდა ამ „გადადგომის“ დეტალებში „ხეტიალი“. ამჯერად საინტერესო არ არის. ჩემი გადმოსახედიდან, მთავარია ამ მოვლენის გადამწყვეტი ფაქტორი: ხელქვეითებთან, საერთოდ ადამიანებთან ურთიერთობის, მათთან საერთო ენის გამონახვის, ნორმალური საუბრის უუნარობა(!!!) მით უმეტეს, კოლეგებთან!**

დიახ, პრინციპულია დრო და ვითარება, როცა ადრესატი ბრბო კი არ არის, არამედ... შენი(!) კოლეგები(!) არიან. თანაც, შენ პირისპირ ხანგრძლივად დგას ერთ მუშტად შეკრული ჯგუფი თანამოაზრეებისა, მოტივირებული, ჯანსაღი და მიზნისთვის მებრძოლი კოლექტივი!!! ჰარი-ჰარად შეკრებილი კი არა, არამედ კოლეგების კოლექტივი!!! და შენ, მინისტრი... მუნჯის ენა დედამ იცისო! არ აღმოჩნდა ეს ანდაზა „ცოცხალი“ ამ შემთხვევაში. ჯანდაცვის მინისტრმა მისი სისტემის დასაყრდენის – ექიმის ენა ან არ იცოდა; ან ვერ გაიგო; ან, „ბრმა“ იყო, ან „ყრუ“... ყველაზე საშინელი კი, შესაძლოა, ის ვითარება იყოს, რომ მინისტრი ნებსით თუ უნებლიეთ, ან, რაღაც ინტერესის გამო, წარმოგვიდგა სხვისი(!!!) ნების თუ დაკვეთის შემსრულებელ... თოჯინად!

არ ვიცი, დაბეჯითებით ვერც ვერაფერს ვიტყვი ან ვერც ვინმეს დავაბრალებ რაიმეს. უბრალოდ, ასეთ დასკვნა-ვარაუდებამდე მხოლოდ თეორიული მსჯელობით ან მოარულ ხმებზე დაყრდნობით შეიძლება მივიდეს კაცი.

გამიხარდება (ვიმედოვნებ), თუ მსგავსი ვარაუდი ძირ-ფესვიანად გამოირიცხება. მთავარი და პრინციპული კი მაინც ერთი დასკვნაა. თანაც, არა მარტო ახლანდელი, წინა ხელისუფლებათა არაერთი წამყვანი ფიგურისთვის დამახასიათებელი, ტრადიციული თითქმის უნივერსალური მიზეზი, რის გამოც დაიწყო და მერე უმართავ პროცესად გადაიზარდა ყველა – ცალკეული, პიროვნული თუ ჯგუფური უკმაყოფილება თბილისში... ჭიათურაში... ახმეტაში... რაჭაში... აჭარაში!..

გახსოვთ, ალბათ, ლამის ბათუმ-ქალაქი რომ გადაწვეს პოლიციელების სულ უბრალო სიბრიყვის გამო, როცა დაჩაგრულ მამაშვილს გამოესარჩლა ნორმალურ მოქალაქეთა ელვისებურად შეკრული ჯგუფი, რომლის საფუძვლიანი(!) უკმაყოფილება გადაიზარდა ისეთ დამანგრეველ აგრესიაში, რომლის განეიტრალებისთვის სახელმწიფოს „სპეცნაზის“ ძალა დასჭირდა.

**დიახ, ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ადამიანებთან ურთიერთობა, ვერ ვგრძნობთ ან ანგარიშს არ ვუწევთ საზოგადოებრივ აზრს, მის მოთხოვნილებას. აი, ამ უნარის დეფიციტს, ზოგჯერ კი მის უგულებელყოფას, მწარე გამოცდილებით (ჩემი პირადი გამოცდილებითაც!) ვიცით, მოაქვს საშინლად ცუდი შედეგი. ჩვენს შორეულ თუ ახლო წარსულში ამის მაგალითები იშვიათად როდი მოინახება... რესპუბლიკური საავადმყოფოს ირგვლივ გაღვივებული „სკანდალი“ კი საბოლოოდ განეიტრალდა პრემიერის მიერ ორგანიზებული „დიალოგით“(!), კონსენსუსით, დაპირისპირებულ მხარეთა მისაღები შედეგით, რისი მიღწევაც, როგორც სჩანს, შესაძლებელი იყო შედარებით უმტკივნეულოდ, გაცილებით ადრე, თუკი მავანს მოეკითხებოდა ცოტა უფრო მეტი ჭკუა-გონიერება... ანუ, მორიგი გაკვეთილი მიიღო მთავრობამაც და საზოგადოებამაც. ვნახოთ, როდემდე გვეყოფა საკუთარ(!) შეცდომებზე მიღებული გამოცდილება.**

**ახლა რაც შეეხება დაპირებულ „მოგონებას“. გამგებმა გაიგოს! ჩემმა მკითხველმა ეს იცის, მაგრამ განმეორება ხომ ცოდნის დედაა!..**

# რა გავაკეთე, ან, რა გავაფუჭე?!

ციკლიდან – „არა შეჯდა მწყერი ხესა“!..

**1951 წლის ზაფხულში სტალინი ცოტა ხნით დასასვენებლად ეწვია საქართველოს... მედიაში არაერთხელ გაჟღერდა ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის, პარტიული მაღალჩინოსნების და მისი ბავშვობის მეგობრების მოგონებები ამ ისტორიული ფაქტის შესახებ. საინტერესოა ამ შეხვედრების ზოგიერთი დეტალი, რომელიც არ მოხვედრილა მემუარულ ლიტერატურაში. ერთ-ერთი ეხება გარდაცვლილ ძველ რევოლუციონერს, რკინიგზის სახელოსნოების (შემდგომ, ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა) მუშას, რომელიც ბელადმა განსაკუთრებული სითბოთი მოიგონა. საუბრის დასასრულს მან იკითხა, თუ დარჩა ვინმე ოჯახის წევრი ან ახლობელი ამ ღირსეულ და დამსახურებულ კაცსო...**



გასაკვირი არ იყო, რომ დამსწრეთაგან ვერავინ გასცა ზუსტი პასუხი ამ შეკითხვას, მაგრამ... დილით, საუზმისას ბელადს მოხსენდა, რომ მის გარდაცვლილ თანამებრძოლს დარჩა ძმისშვილი, რომელიც იმხანად იმავე ქარხნის მოწინავე ხარატი გახლდათ.

სტალინმა კვლავ არ დაიშურა თბილი სიტყვები წარსულის მეგობრის მიმართ და მიანიშნა, რომ ასეთი ადამიანების ოჯახებს მეტი ყურადღება ჭირდებათ, შთამომავლობას კი ხელშეწყობა პროფესიული თუ კულტურული ზრდისთვის. ეს მინიშნება, რა თქმა უნდა, დირექტივად იქნა აღქმული და... სულ მალე ძველი რევოლუციური ოჯახის სისხლის და ხორცის აღმასვლაც დაიწყო, მით უფრო, რომ მისი შრომითი საქმიანობა და წესიერება იძლეოდა სამართლიან საბაბს, ქვეყანას სამაგალითოდ მოვლენოდა მუშათა კლასიდან დაწინაურებული ახალი საზოგადოებრივი ფიგურა.

ამ პროცესს დრო დასჭირდა. ერთ წელიწადში ეს ხარატი საქართველოს პროფკავშირების ლიდერადაც „აკურთხეს“. არ გასულა ახალ ამპლუაში ყოფნის ორიოდე თვეც კი და ყველასთვის მოულოდნელად სტალინი გარდაიცვალა. ბერიას მითითებით და მისივე კონტროლით საქართველოში უმალ დაიწყო სტალინის დაწინაურებული კადრებისგან განთავისუფლება, ანუ, ანგარიშსწორება.

სამთვენახევარში ბერიაც დახვრიტეს და ხრუშჩოვის მიერ დანიშნულმა ახალმა ხელმძღვანელობამ სტალინური კადრების „წმენდას“ ბერიასეულიც მიაყოლა თან. და, რა თქმა უნდა, გაიხსენეს სტალინის მინიშნების შედეგად დაწინაურებული ის ყოფილი კარგი ხარატი, რომლის მოხსნაც ბერიას „მრევლმა“ უბრალოდ ვერ მოასწრო... ერთი სიტყვით, დადგა მისი თავიდან მოშორების ჯერიც. კომპარტიის ცეკას ბიუროზე, რომლის წევრიც ყოფილი ხარატი უკვე გახლდათ, მას გამოუცხადეს, რომ უნდა დატოვოს თანამდებობა. ეს კი უთხრეს, მაგრამ მიზეზს ვერავინ ამბობს:

**როგორი სათქმელია, იმიტომ გხსნით, რომ სტალინი იყო შენი რეკომენდატორიო...**

ყოფილმა ხარატმა დამუნჯებულ და უხერხულობაში ჩავარდნილ კოლეგებს თავად გასცა პასუხი: რატომ მხსნით, ამ ორ-სამ თვეში რა გავაკეთე, ან, რა გავაფუჭეო!

**გეყურებათ – რა გავაკეთე, ან, რა გავაფუჭეო!!! ხარხარში გადაზრდილი სიცილი და... ყოფილი ხარატი დატოვეს თანამდებობაზე.**

რამდენიმე წელს იმუშავა, მერე კიდევ უფრო მაღლა გადაიყვანეს იმ შენობაში, ახლა რომ პარლამენტია. დიდი კაბინეტის უკან ოთახი იყო, სადაც იდგა პატარა ჩარხი და ახლა უკვე ძალიან დიდი მაღალჩინოსანი „თავისუფალ“ დროს ჩხირკედელაობდა რაღაც-რაღაცებს ამ „პროდუქციას“ სიამოვნებით ჩუქნიდა თავის იშვიათ სტუმრებს... მართლა კარგი კაცი იყო მიხეილ ლელაშვილი, საბჭოთა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე (ახლანდელი გაგებით, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტი).



აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე

რამ გამახსენა 73 წლის წინანდელი ეს ისტორია? რამ და ყოველივე ეს გონებაში ამოტივტივდა მაშინ, როცა გავიგე, თანამდებობა მოულოდნელად დაუტოვებია განათლების, კულტურის და კიდევ რაღაცების მინისტრს მიხეილ ბატიაშვილს. ჰოდა, უმალ გამახსენდა ზემოთ მოტანილი ისტორიის გმირის – ყოფილი ხარატის, უპატიოსნესი და უკეთილშობილესი კაცის საპასუხო შეკითხვა, როცა მოთხოვეს ნებით თანამდებობის დატოვება: ამიხსენით, რა გავაკეთე ან რა გავაფუჭეო? არა მგონია, რაიმე მსგავსი შეკითხვა დაესვა წესიერ, კეთილშობილ კაცად ცნობილ ბატონ მიხეილ ბატიაშვილს იმ მომენტში, როცა პრემიერს მიმართა პოსტიდან ნებაყოფილობით, „საკუთარი განცხადებით“(!!!) გადადგომის თხოვნით. მაგრამ ვისურვებდი, რომ მინისტრობის (დეპუტატობის, მერ-გამგებლობის და ა.შ) კანდიდატებმა დანიშვნამდე გაიაზრონ საკუთარი შესაძლებლობები და... აი, მაგ კრიტიკულ მომენტში, როცა გთავაზობენ „ხელმწიფისტოლა კაცის“ პოსტს, გაბედე და საკუთარ თავს დაუსვი ერთი „მძიმე“ შეკითხვა... იკითხავთ, რა... როგორი? დავესესხები მეოცე საუკუნის ერთ ბუმბერაზ კაცს და ჩვენ თემას რომ მიესადაგება, ერთ ღიმილიან 70-წლოვან ისტორიასაც გავიხსენებ:

სტალინ-ბერიას ლანძღვა-დაგმობის პერიოდში, მეცნიერებათა აკადემიის მორიგი არჩევნებისას, ცეკას დავალებით „გააშავეს“ დიდი ქართველი ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე. მეორე დღეს, დედაუნივერსიტეტში, ერთმა „მეგობარმა“ პროფესორმა, რომელიც სწორედ ამ არჩევნებისას და სწორედ ცეკას პროტექციით „გაძვრა“ აკადემიის რიგებში, იქედნურად, დამცინავად მიმართა „დამარცხებულს“: რაო, შალვა, ისევ არ აგირჩიეს აკადემიკოსადო? შალვა ნუცუბიძემ ყველას გასაგონად „ხურდა“ დაუბრუნა „ხუმარას“:

**უმჯობესია, შეგეკითხონ, რატომ არ აგირჩიეს, ვიდრე გაოცებულებმა გკითხონ... რატომ აგირჩიესო!!!**

გეყურებათ მომავალო კანდიდატებო?! – ნუ გააოცებთ გარშემო მყოფთ, ვინც კარგად გიცნობთ, იცის თქვენი შესაძლებლობები, წარსული, „დიპლომიც“ ნანახი აქვთ თქვენი, „ბოტასებსაც ერთად იპარავდით“, კომაროვში თანაკლასელების ოინბაზობაც ახსოვთ და ხონშიც, შატალოზე ერთად დადიოდით და... დროულად იკითხეთ: ხომ არ ცდებით, გააზრებული გაქვთ ის, თუ რატომ მნიშნავთ ამ თანამდებობაზეო?

**ეს გამოსაფხიზლებელი, თანაც, დროული და „თავმდაბლური“ შეკითხვა ყველას ააცილებს უხერხულობას და სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის, დამნიშნავ-რეკომენდატორისა და თანამდებობის მაძიებლისთვისაც...**



**ახლა ხომ ვარ ღირსი, ვინმემ შემომძახოს: ნეტარ არიან მორწმუნენიო... კი, ვარ ღირსი!**

**ასე არ არის, გამოსაფხიზლებელი ტაშის დასაცხებად ყოველთვის მზად მყოფო კუკური?!**

**ნუგზარ ფოფხაძე**

# ჩინეთი საქართველოს მხარეზე, ფაშინიანი პუტინის წინააღმდეგ



**გასული კვირა ისეთი სასიამოვნო მოვლენებით დაიწყო, მსოფლიოს ყველაზე გედნიერი ქვეყნის ხელისუფლებას რომ შეშურდებოდა – მოულოდნელად თბილისში ხელისუფლებისადმი მადლიერების გამომხატველი ხალხმრავალი და, რაც მთავარია, მართლაც გულწრფელი მიტინგი გაიმართა. საუბარი ეხება რესპუბლიკურ საავადმყოფოს მშენებლობასთან და მისი თანამშრომლების დასაქმებასთან დაკავშირებული საკმაოდ რთული პრობლემების საკვირველად სწრაფ გადაწყვეტას. ამაში უდიდესია პრემიერ ირაკლი კობახიძის დამსახურება. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრისა და კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა, რომ საავადმყოფოს ძველი შენობა არ დაინგრევა, თანამშრომლები გააგრძელებენ მუშაობას, ახალი შენობა კი უახლოესი სამი წლის განმავლობაში იქვე აშენდება. მადლიერების მიტინგიც კობახიძის სწორედ ამ გადაწყვეტილებას უკავშირდება.**

არანაკლებ სასიამოვნო და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩინეთის ხელისუფლების განცხადება საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე. ამ გადაწყვეტილების ავკარგიანობაზე სრულად საუბარი დღეს რთულია. რა როლს შეასრულებს საქართველო პლანეტის უდიდესი და უმდიდრესი ქვეყნების ურთიერთობაში, ამას დრო გამოაჩენს. ახლა კი შეგვიძლია თუნდაც ფარული სიამაყით აღვნიშნოთ, რომ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ამაზე მიუთითებს თუნდაც ევროპარლამენტის განცხადება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ეგრეთ წოდებული „შუა დერეფნისა" და მისი მშენებლობის მხარდასაჭერად.

იმედია, საქართველოს ხელისუფლების თაოსნობით უახლოეს მომავალში დაიწყება დასაბუთებული დიპლომატიური მსჯელობა დღევანდელი ფაქტობრივი საზღვრებით საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების, რუსეთთან ჩვენი დიდი მეგობრების მონაწილეობით მოლაპარაკებების დაწყების მიზანშეწონილობაზე. გასულ კვირაშივე შევიტყვეთ, რომ დამთავრდა ვენახების აღწერა ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. საქმე ის არის, რომ ბოლო დრომდე ქართული ღვინის ძირითადი მყიდველი იყო რუსეთი, რომელიც ღვინის ხარისხზე მაინცდამაინც არ ზრუნავდა. ევროკავშირის ბაზართან დაახლოება კი ხარისხის რადიკალურად გაუმჯობესებას მოითხოვს.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ პირველად თავისუფალი საქართველოს ისტორიაში დაიწყო სტუდენტთა ანაზღაურებადი სტაჟირება სახელმწიფო დაწესებულებებში, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება, გადაწყდა ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა.

**და ერთი საკმაოდ სახიფათო ტენდენცია – ბოლო დროს მეტისმეტად თავხედურად გაძლიერდა კეზერაშვილის მტაცებლური ფირმის, SOKAR-ის ზეგავლენის მცდელობა საქართველოს მოქალაქეებზე, განსაკუთრებით, პენსიონერებზე. ხელისუფლებამ რამე უნდა იღონოს!**

* * *

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასული კვირის ყველაზე პოპულარული თემა ევროპის დახმარებით ქართული სასამართლოს რეფორმის აუცილებლობა იყო. მარტო ამერიკის ელჩის განცხადება რად ღირს – „იუსაიდი" მზად არის გააგრძელოს სასამართლო რეფორმა საქართველოში".**

ცოტა უფრო რომ დავწვრილმანდეთ, საუბარია მოსამართლეთა დანიშვნის წესზე. ოპოზიციის ღრმა რწმენით, ქართველი მოსამართლეები უნდა შეარჩიოს და დანიშნოს რომელიმე „მეგობარი" ქვეყნის, მაგალითად, პოლონეთის საელჩომ ან ევროკავშირის კომისიამ. თავის დროზე, ასე მომხდარა, თურმე კოსოვოში, სერბეთსა და მოლდოვაში. მართალია, ამ ქვეყნებში ამას კორუფციის ზრდის გარდა არაფერი მოუტანია, მაგრამ მაინც!..

**იმის გარდა, რომ სულელური და ქვეყნისთვის დამამცირებელია, ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას – ანუ ჯერ უნდა შევცვალოთ კონსტიტუცია; მერე ევროპელ მეგობრებს შევასწავლოთ ქართული ენა და ქართული სამართალი; მერე ჩავიხედოთ, წავიკუზოთ და სულ რაღაც ოციოდ წელიწადში კოსოვო ან მოლდოვა დაგვინიშნავს მოსამართლეებს.**

ჩემი ფიქრით, ქვეყანას ნაცური პარტია რომ მართავდეს, მოვლენათა ამგვარ განვითარებას თვით ქალბატონი თინა ბოკუჩავაც კი არ დაეთანხმებოდა, ახლა რომ ასე დაჟინებით მოითხოვს ქართული სამართლის „ევროპეიზაციას".

ქალბატონი თინა მარტო არ არის – ხაზეს და ჭიჭე ვაშაძეს რომ თავი დავანებოთ, პარლამენტარ რომან გოცირიძის ღრმა რწმენითაც, სასამართლო რეფორმა სასწრაფო და აუცილებელია, რადგან, თურმე, ქართულ მართლმსაჯულებაში ყვავის კორუფცია და ამას ადასტურებს ყველა საერთაშორისო კვლევა. ოღონდ, ბატონი რომანი პრინციპულად არ ასახელებს კონკრეტულად რომელიმე კვლევას – ყველა და მორჩა!

თუ მსოფლიო გამოცდილებას და საქართველოს უახლოეს წარსულს გავითვალისწინებთ (ქართული სასამართლოც და პროკურატურაც სააკაშვილის კლანს პირდაპირი გაგებით ჯიბეში რომ ედო!), კორუფციის საშიშროება მართლაც არსებობს, მაგრამ მასთან ბრძოლა უცხოელების კი არა, თვით მამა-ღმერთის იმედადაც კი, ძალიან საეჭვოა. საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული და გამოცდილებით დადასტურებული სისტემური ცვლილებები. ბევრი რამ უკვე გაკეთდა კიდეც. დაუჯერებელია, ეს არ ესმოდეთ ოპოზიციის ლიდერებს, განსაკუთრებით, ისეთ გამოცდილ დემაგოგს, როგორიც რომან გოცირიძეა.

**ვთქვათ პირდაპირ – ოპოზიციას სჭირდება სასამართლო სისტემაზე, ხელისუფლების სამიდან ერთ-ერთ შტოზე, საკუთარი ძალაუფლების დამყარება. ოპოზიციამ იცის, რომ წლევანდელი ოქტომბრის არჩევნებში მისი მხრიდან რაიმე ხელშესახები წარმატების მოპოვება გამორიცხულია. სასამართლოზე უპირობო და შეუზღუდავი ზეგავლენა კი არჩევნების გაყალბებულად გამოცხადების, მისი გაუქმებისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ერთადერთი შანსია. მართალია, ამ ავანტურის განხორციელების იმედი მინიმალურია, მაგრამ საკმაოდ დიდია გულუბრყვილო და სააკაშვილზე გრმად შეყვარებული ნაცამომრჩევლების წინაშე თავის მართლების (და თავის მოწონებისაც!) შესაძლებლობა – ჩვენ ხომ ყველაფერი ვიღონეთ გამარჯვების მოსაპოვებლად!**

მეორე მხრივ, მოვლენების ამგვარი განვითარება ხელს აძლევს ჩვენს ზოგიერთ დასავლელ „მეგობარს" – ხელისუფლების სათავეში ნაცებისა და მათი კუდქიცინა სატელიტების აღზევება საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე მათი სრული კონტროლის დაწესებას ნიშნავს. იმ ხალხს ვგულისხმობ, ასე დაჟინებით რომ მოითხოვს უმანკო სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებას. მაგალითად, პოლონელ ევროპარლამენტარს, „ევროპელი კონსერვატორების და რეფორმისტების პარტიის" გენერალურ მდივანს, ქალბატონ ანა ელჟბიეტა ფოტიგას (კავიცკა).

* * *

**აქვე კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენო მეგობარი დასავლეთიდან მომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურობა – ლგბტ თემის პოპულარიზაციის მცდელობა. გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობები არ არის ახალი და უცნაური მოვლენა არც საქართველოში და არც დანარჩენ მსოფლიოში. ამის დასტურად თუნდაც სამასი სპარტელისა და თვით ალექსანდრე მაკედონელის გახსენებაც საკმარისი უნდა იყოს. აღარაფერს ვამბობ „უკუღმართებისადმი" თავისი სისასტიკით ცნობილი „ძია" ლენინის საკვირველად თბილ დამოკიდებულებაზე.**

ევროპული ქვეყნების ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როცა ამგვარი „უკუღმართობა", გნებავთ, ჩვევა, ან დაავადება სასტიკად (წამებითა და სიკვდილით) ისჯებოდა. საქართველოს ისტორიიდან ასეთი სისასტიკე არ მახსენდება. თუმცა, მსგავსი მიდრეკილებებისთვის რომ ვინმე შეექოთ და წაექეზებინოთ, არც ეს გამიგია. მოკლედ, ლგბტ თემს საქართველოში უხსოვარი დროიდან გაგებით და მოთმინებით ეპყრობოდნენ. ისინიც თავის „საქმეს" უჩუმრად და უხმაუროდ აკეთებდნენ. ბოლო ხანებში, უცხოეთიდან უხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ევროპელი მეგობრების მხარდაჭერით წაქეზებულ-გაამაყებული ნამდვილი და მათზე მიტმასნილი ყალბი „უკუღმართები" ასპარეზზე გამოვიდნენ და წამებულების როლის მორგება სცადეს.

**ვფიქრობ, საქმე აქაც პოლიტიკასთან უნდა გვქონდეს. ჩვენს დასავლელ ყალბ მეგობრებს სურთ უპირობო გავლენის მოპოვება ქართველ საზოგადოებაზე. მათთვის მნიშვნელოვანია ამ საზოგადოების მხოლოდ რაოდენობრიობა და არა ინტელექტუალური შესაძლებლობა ან მორალი. ხელისუფლებაზე მეოცნებე ნაცმოძრაობა, მისი სატელიტები, სააკაშვილი და მასზე უთავბოლოდ შეყვარებულთა კასტა, მექრთამე „უკუღმართები", იოლად ფულის მშოვნელთა სხვა ჯგუფები ჩვენი ამ დასავლელი ყალბი მეგობრების უმთავრესი სამიზნეა. ისინიც სექსუალური სიამოვნებით ირგებენ დასავლეთის ალერსს.**



* * *

**სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს მორწმუნე და ურწმუნო საზოგადოება კიდევ ერთხელ გააოცა თავისი მორიგი ყოვლად უპასუხისმგებლო და შეურაცხმყოფელი განცხადებით. ამჯერად მისი უწმინდესობა ილია მეორის უძლურების, მისი „რუსეთუმეობისა" და პატრიარქის პოსტიდან გადადგომის მოთხოვნით. ძნელია, სახელი დაარქვა პრეზიდენტის ასეთ საქციელს. მეც თავს შევიკავებ – ქალმა არ იცის, რომ საქართველო არის სეკულარული სახელმწიფო, თვით პრეზიდენტსაც კი არა აქვს ეკლესიის საქმეებში ჩარევის არც იურიდიული და არც მორალური უფლება.**

არანაკლებ უცნაური და ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციისთვის დამაზიანებელია პრეზიდენტის არცთუ ფარული ჯიუტი მცდელობები სააკაშვილის ციხიდან დასახსნელად. ჯერჯერობით შეწყალებამდე არ მისულა, მაგრამ გასულ კვირაში კიდევ ერთხელ შეხვდა ბოკუჩავა-ვაშაძის დუეტს და, როგორც ბოკუჩავამ განაცხადა, მასთან ნაპრეზიდენტალი პატიმრის პრობლემებზეც ისაუბრა. ძალიან საეჭვოა, ქალბატონი პრეზიდენტი ამას საკუთარი ინიციატივით, მისი და ნაცმოძრაობის დასავლელი „მეგობრების" დაუკითხავად აკეთებდეს.

**ახლა, მოდი, ორიოდე „წვრილმანიც" გავიხსენოთ – პრეზიდენტი არ მიიწვიეს 25 თებერვლის აღსანიშნავ ცერემონიალზე – შარშან მივიწვიეთ და არ მოვიდაო. ცოტა უფრო ადრე ოცნება ფეხზე არ წამოუდგა პარლამენტში მისულ პრეზიდენტს. ვწუხვარ ამას რომ ვამბობ, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ არის ცივილიზებული საზოგადოების საკადრისი საქციელი. იმის მიუხედავად, პრეზიდენტის რანგში სალომე ზურაბიშვილი იქნება თუ, ღმერთო დაგვიფარე და, ნატა ფერაძე...**

* * *

**გასულ კვირაში ისევ გრძელდებოდა რუსეთ-უკრაინის სისხლიანი დაპირისპირება. რუსეთის ხელმძღვანელობის განცხადებით, ფრონტის ყველა უბანზე მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები. უკრაინის ხელმძღვანელობის განცხადებითაც, მოწინააღმდეგის სრულ განადგურებამდე ორი ნაბიჯიც აღარ რჩება. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებში პერმანენტულად გრძელდება უკრაინის დაფინანსებისა და იარაღის მიწოდების მოთხოვნები.**

შესაბამისად, იზრდება ევროპა-ამერიკის მოსახლეობის უკმაყოფილება ამ უსასრულოდ გაჭიანურებული ომის, ინფლაციისა და სიღარიბის კოეფიციენტების უკონტროლო ზრდის გამო. ამავე დროს, ტრაგიკულ ვითარებაში ყელამდე ჩაფლული უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამოგზაუროდ იცლის. საუდის არაბეთში მოგზაურობას რომ თავი დავანებოთ, უკრაინის ხელისუფლების ოფიციალური განცხადებით, გმირი ბატონი ვოლოდიმერი უახლოეს მომავალში ერევანს ესტუმრება.

**საქმე ის გახლავთ, რომ სომხეთის პრეზიდენტი ნიკოლ ფაშინიანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტაბუდადებული გარეგინ ნჟდეს სახელის მოსახსენიებელი ზეიმის გამართვას გეგმავს. ეს ის გარეგინია, ვინც დიდი სამამულო ომის დროს ჰიტლერის მხარეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლ სომხურ სამხედრო შენაერთს ხელმძღვანელობდა. ამ ჟესტით ფაშინიანი სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირებაში ბოლო ხანს აზერბაიჯანის ინტერესების გამზიარებელ პუტინზე შურისძიებას აპირებს. თანაც, დღევანდელი რუსეთისა და მაშინდელი საბჭოთა კავშირის იდენტობაზეც მიუთითებს.**

ფაშინიანის სომხეთს მთიანი ყარაბაღის დაბრუნების იმედი ჯერაც არ დაუკარგავს. მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები სომხეთისთვის საფრანგეთიდან თანამედროვე იარაღის მიწოდების თაობაზე. აქედან გამომდინარე, არსებობს სომხეთში ანტირუსული ფრონტის გახსნის შანსი, რამაც, შესაძლოა, საქმე შეუმსუბუქოს უკრაინას, მაგრამ საბედისწერო აღმოჩნდეს მთლიანად ამიერკავკასიისთვის. ანუ ზელენსკი და მისი ევროპელი მეგობრები ფაშინიანის ხელით აპირებენ იმის გაკეთებას, რაც ვერ გააკეთებინეს საქართველოს ხელისუფლებას.

**ფაშინიანი რას ფიქრობს და სინამდვილეში რას აპირებს, ძნელი სათქმელია, მაგრამ, თუ ამიერკავკასიაში ვითარება აირია, ჩვენი ისლამური გარემოცვის დავიწყებაც არ გვარგებს – მეგობარი ირანი და თურქეთი ლანგრით მირთმეულ გემრიელ და ნანატრ ლუკმაზე უარს ნამდვილად არ იტყვიან...**



თეიმურაზ ქორიძე

03.03.2024 წ.

# LGBT პროპაგანდა ევროპის კონტინენტზე და არჩევანის წინაშე მყოფი საქართველო

## ბლინკენის ცნობილი ბოდვის კვალდაკვალ

**ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ჰეტეროსექსუალი და ჰომოსექსუალი წყვილების უფლებების უმეტეს ნაწილში გათანაბრებას ითვალისწინებს, თუმცა მხარი არ დაუჭირა ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას. კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ერთი და იმავე სქესის ადამიანებს ქორწინებაში უნდა ჰქონოდათ ისეთივე უფლებები, როგორიც აქვთ ქორწინებაში მყოფ ქალსა და მამაკაცს. კანონპროექტის მიღებით ჩეხეთში, პრაქტიკულად, აღარ იარსებებდა სამოქალაქო პარტნიორობა, რომელსაც 2006 წლიდან ერთნაირსქესიანი წყვილები აფორმებდნენ.**

თუმცა კონსერვატორი დეპუტატების პროტესტის გამო, პარლამენტის ქვედა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი არ ითვალისწინებს ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას, არამედ ხაზს უსვამს პარტნიორობის უკვე არსებულ მექანიზმს. კანონპროექტის თანახმად, ერთნაირსქესიანთა წყვილებს შვილად აყვანის უფლება არ ექნებათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი ბავშვის ბიოლოგიური მშობელია. ახლა კანონპროექტი განსახილველად პარლამენტის ზედა პალატაში გადაინაცვლებს, რის შემდეგაც მას პრეზიდენტმა **პეტრ პაველმა** უნდა მოაწეროს ხელი.

დიდი ალბათობით, პრეზიდენტი კანონპროქტს ხელს მოაწერს, რადგან მანამდე მხარი დაუჭირა ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას. ჩეხეთის პარლამენტის გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა საბერძნეთის გადაწყვეტილება, რომელმაც ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონა. საბერძნეთი ევროკავშირის მე-16 ქვეყანა გახდა, რომელმაც ქორწინების თანასწორობა დააკანონა. მსოფლიოში ერთნაირსქესიანთა ქორწინება 30-ზე მეტ ქვეყანას აქვს ლეგალიზებული.

უკრაინის თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებმა მხარი დაუჭირეს კანონპროექტს, რომელიც ლგბტ წყვილებისთვის რეგისტრირებული პარტნიორობის განსაზღვრას ითვალისწინებს. არ არის გამორიცხული, რომ ამ საკითხს კენჭი უყაროს უკრაინის რადამ. კანონპროექტი, რომლის ავტორია უკრაინელი დეპუტატი **ინა სოვსუნი,** მიზნად ისახავს დაეხმაროს ლგბტ წყვილებს ორმხრივი უფლებებისა და მოვალეობების, ქონების საკუთრების, მემკვიდრეობის, სოციალური დაცვისა და პარტნიორის გარდაცვალების ან გაუჩინარების შემთხვევაში უფლებების განსაზღვრაში.

**ინა სოვსუნმა** კანონპროექტი უკრაინის უმაღლეს რადას 2023 წლის 7 მარტს წარუდგინა. კანონპროექტზე ცხრა თვის განმავლობაში მუშაობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. მაშინ სამინისტროები ეწინააღმდეგებოდნენ ამას, რადგან კანონპროექტი, სავარაუდოდ, რეგისტრირებულ პარტნიორობას ქორწინებასთან აიგივებდა. ახლა სამინისტროებმა პოზიცია შეცვალეს. ამასთან, იუსტიციის სამინისტრო კანონპროექტის მეორე მოსმენისთვის ცვლილებებს უკვე ამზადებს.

როგორც ირკვევა, შემდეგი სამიზნე საქართველოა. როგორც „ხალხის ძალის“ წევრი **დიმიტრი ხუნდაძე** აცხადებს, LGBT პროპაგანდა და ეს პროცესები მოედო მთელ ევროპას და აშკარაა, რომ საქართველოში ძალიან მალე დააყენებენ საკითხს ამ მიმართულებით ნაბიჯების გადასადგმელად.

**„LGBT პროპაგანდა ევროპის კონტინენტზე მძლავრ მასშტაბებს იძენს. ფაქტია, რომ ეს არის სახელმწიფოების დაპყრობის ახალი იარაღი. ყველაფერს აკეთებენ, რომ ადამიანებს დაუკარგონ სქესის აღქმის შეგრძნება. ადამიანებს ეუბნებიან, რომ შეუძლია დღეს იყოს ქალი, ხვალ – კაცი, შემდეგ თუ მოუნდება, ისევ – ქალი გახდეს და ა.შ. ამავე დროს, მთელი სიმძლავრით მიდის მშობლის ინსტიტუტის გაუქმების მცდელობა. ადამიანებს ეუბნებიან, რომ არ არსებობს ტერმინები: „დედა“ და „მამა“. უფრო მეტიც, ეუბნებიან რომ ეს შეურაცხმყოფელი სიტყვებია. საბოლოო ჯამში კი, ამ პროპაგანდის მიზანი არის ერთადერთი – მსოფლიოში ადამიანების ნაცვლად მიიღონ უსამშობლო ბიოლოგიური მასა, რომელსაც არ ექნება კრიტიკული აზროვნების უნარი“,** – აცხადებს **დიმიტრი ხუნდაძე.**







არაოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს უკვე დაუყენეს საკითხი, რომ ამ მიმართულებით გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები. თუმცა, ოფიციალურად ეს ინფორმაცია არ დასტურდება. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ის, რაც რეალობად იქცევა სხვა ქვეყნებში, შემდეგ არის მცდელობა, რომ სხვადასხვა გრანტების მეშვეობით რეალობად იქცეს ჩვენ ქვეყანაშიც.

**„შეიძლება დღეს გვეცინებოდეს ლგბტ-პროპაგანდაზე, მაგრამ აქ სასაცილო არაფერი არ არის და საჭიროა როგორც საზოგადოების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მკაფიო პოზიცია, ვინაიდან მათი მეშვეობით ხდება ასეთი ტიპის ნარატივების შემოტანა ქართულ დისკურსში. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი საზოგადოების მკაფიო პოზიცია იყოს ამასთან დაკავშირებით, რომ არ დაიწყოს ნელ-ნელა რაღაც გრანტების შემოდინება იმისთვის, რომ წახალისდეს საქართველოში სქესის მიხედვით დიფერენციაციის ხაზგასმა“,** – აღნიშნა **შალვა პაპუაშვილმა.**

ფსიქოლოგის, პოლიტოლოგის **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ჩეხეთის რეაქცია უკვე მიუთითებს, რომ პროცესი არც ისე ნარნარად განვითარდება და თვითონ ევროპაშიც მოწინააღმდეგე ცოტა არ ეყოლება.

**„ნუ გადავუსწრებთ მოვლენებს. ქართველებს გვიყვარს საერთოდ გადახტომა იქამდე, სანამ რაიმე მოვლენა მოხდება და იქნებ ვუღალატოთ ახლა ამ ჩვენს ტრადიციას და ვაცალოთ მოვლენებს, როგორ განვითარდება. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ვერ წაგიყვანებენ შენ ასეთ პატარა, სხვის ხელის შემყურე ქვეყანას პირობებს, იმიტომ, რომ უფრო დიდი პროცესები აღმოჩნდება მათი კონტროლის გარეშე“,** – აცხადებს **საყვარელიძე.**

როგორც ფსიქოლოგი ამბობს, გარდა ჩეხეთისა, თვითონ ამერიკაში რესპუბლიკელებმაც მძაფრი რეაქცია მისცეს ბლინკენის ცნობილ ბოდვას და ამიტომ, მისი თქმით, არ არის გამორიცხული, რომ ჩვენთან პრეტენზიის წამოყენება არ იყოს შემთხვევითი.

**„გვახსოვს, უახლოესი წარსული, როცა ბლინკენმა სანქციები გამოუწერა ქართველ მოსამართლეებს ისე, რომ საქართველოს ხელისუფლებას არც დალაპარაკებია. ასე რომ, გარკვეული ანტიქართული განწყობა შეიმჩნევა ბლინკენის ნაწილში და არ არის გამორიცხული, სწორედ, ამ განწყობილების ფონზე ჰქონდეს პრეტენზიები საქართველოს მიმართ – გინდა თუ არა, საქართველომ გადადგას რაღაცა ნაბიჯები. ასეთ პოლიტიკურ ვითარებას რომ თავი ავარიდოთ, იქნებ მოვიცადოთ და ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები“...**

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** ფიქრობს, რომ თუკი ეს თემა განხილვის პროცესშიდაც წამოიწევა, მაღალი ალბათობაა პოლიტიკური დესტაბილიზაციისა და შესაძლებელია, რომ მოხდეს ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა, რადგან საზოგადოებრივი განწყობა არ შეესაბამება იმ მოთხოვნის შესრულებას, რომელსაც ჩვენ თავს გვახვევენ.

**„პოლიტიკური დესტაბილიზაციის კუთხით უკვე შექმნილია ხელსაყრელი პირობა – ინფორმაცია გაჟღერებულია. თუ ამას ხელისუფლება გააჟღერებს, არ გამოვრიცხავ, რომ მოხდეს უფრო მაღალი დონის დესტაბილიზაცია, რომელიც შეიძლება დასრულდეს ხელისუფლების ძალადობრივი დამხობით. ამიტომ, ახლა უნდა ვიყოთ რაც შეიძლება ფრთხილად, რომ ისეთი შეცდომები არ დავუშვათ, რომელიც გამოიწვევს დესტაბილიზაციას ქვეყანაში“,** – აცხადებს **დავით კუხალაშვილი.**

**თამთა ქარჩავა**

**LGBT პროპაგანდა ევროპის კონტინენტზე მძლავრ მასშტაბებს იძენს. ფაქტია, რომ ეს არის სახელმწიფოების დაპყრობის ახალი იარაღი. ყველაფერს აკეთებენ, რომ ადამიანებს დაუკარგონ სქესის აღქმის შეგრძნება. ადამიანებს ეუბნებიან, რომ შეუძლია დღეს იყოს ქალი, ხვალ – კაცი, შემდეგ თუ მოუნდება, ისევ – ქალი გახდეს და ა.შ. ამავე დროს, მთელი სიმძლავრით მიდის მშობლის ინსტიტუტის გაუქმების მცდელობა. ადამიანებს ეუბნებიან, რომ არ არსებობს ტერმინები: „დედა“ და „მამა“. უფრო მეტიც, ეუბნებიან რომ ეს შეურაცხმყოფელი სიტყვებია. საბოლოო ჯამში კი, ამ პროპაგანდის მიზანი არის ერთადერთი – მსოფლიოში ადამიანების ნაცვლად მიიღონ უსამშობლო ბიოლოგიური მასა, რომელსაც არ ექნება კრიტიკული აზროვნების უნარი**



დავით ქართველიშვილი:

# ზურაბიშვილმა ცოცხალი პატრიარქი უკვე დაასაფლავა!..



## პრეზიდენტს რეალურად ემუქრება ისტორიული სასახლიდან გათრევა!

**საქართველოს პრეზიდენტი მართლმადიდებლურ ეკლესიასაც გადასწვდა. ამჯერად სალომე ზურაბიშვილის სამიზნე პატრიარქი გახდა. ლონდონში, საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტში სტუმრობისას, მან ისაუბრა პრორუსული ჯგუფების და ანტიდასავლური პროპაგანდის მხარდასაჭერ დაფინანსებაზე და აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, ქართული ეკლესია მოახერხებს პროქართული და პროევროპული პატრიარქის არჩევას და არა პრორუსის.**

ზურაბიშვილი ამბობს, რომ ეკლესიაში კომპლექსური ვითარებაა, რისი მიზეზიც დღეს პატრიარქის სისუსტეა, რომელმაც აქამდე ძალიან მტკიცედ შეინარჩუნა ეკლესიის ძველი მეთოდები. ზურაბიშვილი აცხადებს, რომ საქართველოს ეკლესია რუსეთის რბილ ძალას წარმოადგენს. თუმცა, რას ეფუძნება მისი ეს ბრალდება, ამ თემაზე არ უსაუბრია.

**„ვფიქრობ, მართლმადიდებლური ეკლესია, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მართლმადიდებლურ ქვეყანაში, ძალიან ახლოს არის ძალასთან და მიდრეკილია აჰყვეს თანამედროვე მიდგომას, მე ვიტყოდი, მიდრეკილია ნიუანსების ცვლილებისკენ. ასე რომ, იმედი მაქვს, რომ ეკლესია, ამ შემთხვევაშიც, პროდასავლურ რიტორიკას მიჰყვება და რადგან მე ვარ ოპტიმისტი და დარწმუნებული ვარ საქართველოს გამძლეობაში, ქართული ეკლესია მოახერხებს პროქართული და პროევროპული პატრიარქის არჩევას და არა პრორუსის“,** — თქვა **სალომე ზურაბიშვილმა.**

ლონდონში გაკეთებულ ხმაურიან განცხადებას უპასუხეს თბილისში. საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის **მამა ანდრია ჯაღმაიძის** განცხადებით, პრეზიდენტისთვის, რომელსაც თავი ეკლესიის მრევლად მიაჩნია, ეთიკას მოკლებულია მოქმედი პატრიარქის სისუსტეზე და პატრიარქის ცვლილებაზე საუბარი, სხვა საკითხია, რომ ეს ეკლესიის საქმეებში უხეში ჩარევაა.

**„ბევრ კითხვებს ბადებს ქალბატონი პრეზიდენტის ბოლო კომენტარი ეკლესიასთან მიმართებაში. გაუგებარია, რას გულისხმობდა ქალბატონი პრეზიდენტი „ეკლესიის ძველ მეთოდებზე“, ისევე, როგორც ეკლესიის მხრიდან „პროდასავლური რიტორიკის მიყოლის“ შესახებ საუბრისას. რას ნიშნავს ეკლესია „ახლოსაა ძალასთან“? სამწუხაროა ასეთი ზედაპირული და შაბლონური დამოკიდებულების მოსმენა პრეზიდენტის სიმაღლიდან და ქართულ ეკლესიაში პროქართულ, პროევროპულ თუ პრორუსულ არჩევანზე საუბარი ჩრდილს აყენებს და აკნინებს, არა იმდენად ეკლესიას, რამდენადაც თავად კომენტარის ავტორს“,** — წერს **მამა ანდრია ჯაღმაიძე.**

ზურაბიშვილმა, რომელმაც დაარღვია ეთიკა, როდესაც მოქმედი პატრიარქის სისუსტეზე და პატრიარქის ცვლილებაზე ისაუბრა, დამატებითი განმარტებები არ გაუკეთებია. თუმცა, ცხადია, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოუწევს კითხვებზე პასუხის გაცემა, რას გულისხმობდა გამონათქვამში: „ქართული ეკლესია მოახერხებს პროქართული და პროევროპული პატრიარქის არჩევას და არა პრორუსის“.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კომენტარის გაკეთებაც კი არ შეიძლება განცხადებაზე, რომელიც ზურაბიშვილმა საპატრიარქოსთან დაკავშირებით გააკეთა.

**„ასეთი განცხადებები გამაოგნებელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთი განცხადებებით საკუთარ იმიჯს აზიანებს. ამ თემაზე მეტი კომენტარის გაკეთება არ მინდა“,** — აღნიშნა **ირაკლი კობახიძემ.**

მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ ეს არის პრეზიდენტის მხრიდან პირდაპირი ჩარევა ეკლესიის საქმეებში. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, **ნიკოლოზ სამხარაძის** განცხადებით, პატრიარქი იმის მიხედვით კი არ უნდა ავირჩიოთ, როგორი პოლიტიკური გემოვნება აქვს, არამედ როგორი მღვდელმთავარი და როგორი სულიერი წინამძღოლი იქნება.

**„პრეზიდენტი ამ საკითხში როცა ერევა, თავისთავად, ეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გამიჯვნის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია. მისი განცხადებით მართლა გაკვირვებული და გაოცებული ვარ. ჩვენ გვყავს მოქმედი პატრიარქი, შესაბამისად, ეს ადამიანი არის ჩვენი ერის სულიერი წინამძღოლი. ჰიპოთეტურ საკითხებზე საუბარი და შემდეგ იმის გარკვევა, როგორი პოლიტიკური გემოვნება ექნება ამა თუ იმ მღვდელმთავარს, პრეზიდენტის საქმე არ არის. ეს განცხადება არაფერში წერია“,** — თქვა **ნიკოლოზ სამხარაძემ.**

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, ძალიან გულუბრყვილო და შეუგნებელი უნდა იყოს მავანი, რომ ვერ ჩაწვდეს პროცესების განვითარების ლოგიკას. მისი თქმით, გასაგებია, რომ საპატრიარქო ჯერ იმაზე მეტს ვერ იტყვის, რაც თქვა, მაგრამ ლოგიკური კითხვა ჩნდება — სად არის ქართული საზოგადოება, სად არის მართლმადიდებლური მრევლი?

**— გავატარებთ ამ ერთ პროვოკაციას, რომელიც შეიძლება უფრო მასშტაბურ პროვოკაციაში გადაიზარდოს? დაფიქრდით მეგობრებო! როგორც მართლმადიდებელ მრევლს, მიმაჩნია, რომ საპატრიარქომ რეაგირება უნდა მოახდინოს პრეზიდენტად წოდებულის ამ მორიგ მავნებლურ განცხადებაზე. ეს არის როგორც მინიმუმ, შიდა საეკლესიო საქმეებში უხეშად ჩარევა და პირდაპირი დარღვევა სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიას შორის დადებული კონკორდატის,** — აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

„ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** ამბობს, რომ ზურაბიშვილმა ყველა წითელი ხაზი გადაკვეთა, რომელმაც ჯერ ცოცხალი პატრიარქი უკვე დაასაფლავა და მისი შემცვლელის არჩევნებში იღებს მონაწილეობას. როგორც ქართველიშვილი ამბობს, პრეზიდენტს რეალურად ემუქრება ისტორიული სასახლიდან გათრევა.

**„ამ უსამშობლო, ურწმუნო არსებამ პრორუსი არ მინდაო — ან პროევროპელი, ან ჯანდაბას პროქართველი იყოსო. რა „ეკლესიის ძველი მეთოდები“ შეინარჩუნა? ან რა ენაზე გველაპარაკება ეს ქართველთმოძულე ანტიმართლმადიდებელი? რა „მეთოდებს“ უწუნებს 2-ათასწლიანი ისტორიის მქონე ჩვენს ეკლესიას ეს ყველანაირ ზღვარს გადასული „ნეიტრალური გენდერი“? რა „ნიუანსების ცვლილებისკენ“ არის მიდრეკილი ჩვენი სარწმუნოების ბურჯი? მთვრალია თუ შეპყრობილი? ამას ვინმე გააჩერებს? რა „პროდასავლური რიტორიკა“? სად? საკურთხეველში თუ ამბიონიდან? ამას მართლა გამოათრევენ ჩვენი ისტორიული სასახლიდან“,** — აღშფოთებულია **დავით ქართველიშვილი.**

**თამარ ქარჩაიძე**



# ამერიკისგან თავში წამორტყმის პოლიტიკა დასრულდა?!



## თუკი ჩვენთან ვინმეს პარტნიორობა სურს, მათი მხრიდანაც ქმედითი ნაბიჯების გადადგმა უნდა მოხდეს!

საქართველოს ხელისუფლებაში უკვე ხმამაღლა საუბრობენ, რომ უკრაინის ომის შემდეგ, საქართველო-ამერიკის ურთიერთობა გართულებულია. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში რამდენიმე დღის გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან — ჩინეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობებზე, მისი თქმით, საქართველოს მთავრობას აქვს თავისი მკაფიო ხედვები ორივე სტრატეგიულ პარტნიორთან.

იხ. 8 გვ.



# ამერიკისგან თავში წამორტყმის პოლიტიკა დასრულდა?!

(მეხუთე გვერდიდან)

გახდა თუ არა ჩინეთი საქართველოსთვის უფრო პრიორიტეტული სტრატეგიული პარტნიორი, ვიდრე ამერიკა? – კითხვაზე პრემიერი პასუხობს: „პრიორიტეტები არის არა მხოლოდ ჩვენზე დამოკიდებული, ურთიერთობა არის ორმხრივი საქმე, შესაბამისად, პრიორიტეტებიც განისაზღვრება ორმხრივად“.

ამ თვალსაზრისით, მან შეადარა საქართველოსადმი ჩინეთისა და აშშ-ის დამოკიდებულება, ხაზი გაუსვა ჩინეთის მზარდ ინტერესს და აშშ-ის შემცირებულ მხარდაჭერას.

**„მაგალითად, გვაქვს ძალიან გააქტიურებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკურ პროექტებში ძალიან აქტიურად არიან ჩართული ჩინური კომპანიები, რაც არის მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ სათანადოდ განხორციელდეს შესაბამისი პროექტები. გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ხელმოწერილი ჩინეთთან, რამაც ხელი შეუწყო ამ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. გვაქვს პირდაპირი ფრენები ჩინეთთან, ასევე ნახეთ, როდესაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იყო ჩასული ჩინეთში, მას უმაღლეს დონეზე მოუწყვეს დახვედრა“**, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

ხოლო მაგალითისთვის პრემიერი ამერიკასთან ურთიერთობას ასახელებს და ამბობს, რომ უკვე არაერთი წელია, ორ ქვეყანას შორის, დაახლოებით, 6-7 წელი იქნება, უმაღლესი დონის ვიზიტები არ შემდგარა, რაც გამოიხატება ასევე, მათ შორის, პროტოკოლურ საკითხებშიც,

**„მილოცვები რომ ავიღოთ, დაახლოებით, ალბათ, უკვე მე-8 წელია უმაღლეს დონეზე არც ერთ პრეზიდენტს, თუ პრემიერ-მინისტრს არ მიუღია მილოცვა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. არის შედარებით საშუალო დონე, რა დონეზეც იგზავნება ეს მილოცვები. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კუთხითაც არ გვაქვს მაინცდამაინც კარგი ვითარება, არ გვაქვს პირდაპირი ფრენები, არ გვაქვს უვიზო მიმოსვლა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საჭიროებს გაუმჯობესებას“**, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** კი აცახდებს, რომ ამერიკის ელჩთან შეხვედრისას მან ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლა და ავიამიმოსვლა მოითხოვა.

„აშშ-ის ნება არის საჭირო, რომ მოიხსნას ვიზა. გასაგებია, რომ აშშ-ს არ აქვს უვიზო მიმოსვლა ბევრ ქვეყანასთან, მაგრამ არაღიარებულ სახელმწიფო ტაივანთან აქვს უვიზო მიმოსვლა. არ მგონია, რომ საქართველო, 3 მილიონ-ნახევარი მოსახლეობით, რაიმე საფრთხეს წარმოადგენდეს მიგრაციული მხრივ აშშ-სთვის. ეს იქნება კიდევ ერთი კარგი ჟესტი ქართველი ხალხის მიმართ“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა.

**„ამ ყველა ინსტრუმენტის კომბინაციით – უვიზო მიმოსვლა, პირდაპირი ფრენები, წაახალისებს როგორც ხალხთაშორის ურთიერთობას, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობას და შეიქმნება გარემო, რომ ამერიკული ინვესტიციები მოხვდეს საქართველოში. ასე ხდება ზოგადად სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება და ჩვენი სურვილია, რომ ჩვენს ძალისხმევას აშშ-ის მხრიდან მოჰყვეს საპასუხო ნაბიჯები“**, – აღნიშნა **შალვა პაპუაშვილმა.**

რაც შეეხება ამერიკის ელჩის პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა მან პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ამერიკა თავის პარტნიორებთან მჭიდროდ იმუშავებს.

**„მინდა, დავიწყო ჩემი გამოსვლა პრეზიდენტ ბაიდენის სიტყვებით – პრეზიდენტი ამბობს: ჩვენ ვიმუშავებთ ძალიან მჭიდროდ ჩვენს პარტნიორებთან, მოკავშირეებთან და ყველასთან, ვინც იზიარებს ჩვენს ინტერესებს, ჩვენ არ დავტოვებთ ჩვენს მომავალს დაუცველს მათგან, ვინც საფრთხეს უქმნის ჩვენს ხედვას“**, – განაცხადა საქართველოში აშშ-ის ელჩმა, **რობინ დანიგანმა** საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

**„ვიმუშავებთ, რომ იყოს კეთილდღეობა და სტაბილურობა. ამ სიტყვებით პრეზიდენტი ბაიდენი ხაზს უსვამს, რომ ჩვენი ალიანსები, პარტნიორობა უნდა იყოს გაფართოებული და სწორედ, ეს მთხოვა მან, როდესაც საქართველოში მოვდიოდი, რომ გაგვეღრმავებინა ჩვენი უკვე არსებული კარგი და ფართო თანამშრომლობა“**, – დასძინა **დანიგანმა.**

* * *

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** ამბობს, რომ საქართველოს და ამერიკის ურთიერთობა ნამდვილად შესუსტებულია და ეს პროტოკოლის დონეზეც კი იგრძნობა. ქართველიშვილის აზრით, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს და ეს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან წამოსული პრობლემა არ არის.

**„საქმე ისაა, რომ ბაიდენის ადმინისტრაციისთვის და ამერიკის ახლანდელი ხელისუფლებისთვის „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არ არის მისაღები. მათთვის მიუღებელია ის დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აწარმოებს, მით უმეტეს ბოლო დროს, უკრაინის ომის შემდეგ, ეს პრობლემები უფრო თვალშისაცემი გახდა. საქართველომ ამერიკასთან 2009 წელს დადო სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება, მაგრამ ეს პარტნიორობა სად არის? საქართველოს ხელისუფლება არ არის ვინმეს დასმული და არც ჩვენი სახელმწიფო არ არის ვინმეს ვასალი ქვეყანა. „ოცნება“ არის ქართველი ხალხის მიერ არჩეული და ამას ვერ ეგუებიან. მათ სურთ, რომ ხელისუფლებაში მოიყვანონ საკუთარი აგენტურა, ეს კი ქართველ ხალხს არ უნდა. ამიტომ დაიწყო ის პრობლემები, რაც საქართველოს ხელისუფლებასა და ამერიკას შორის არსებობს.**

**30 წლის განმავლობაში საქართველომ ვერ მიიღო ვერც უვიზო მიმოსვლა და ვერც ფრენები. თქვენ წარმოიდგინეთ და პროცენტულად ამერიკის ვიზას რუსეთის მოქალაქეები უფრო ადვილად იღებენ, ვიდრე საქართველოსი. სად არის აქ პარტნიორობა? დიახ, ისინი ფულს ხარჯავენ იქ, სადაც მათი აგენტურაა. ფულს აძლევენ ოპოზიციურ პარტიებს, რათა მათ ხელისუფლებაში მოსვლა როგორმე და ნებისმიერი ფორმით შეძლონ. ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ამერიკას რაიმე ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს! ერთი ჟენევის ფორმატი არსებობს, რომელიც უკვე 15 წელია მიმდინარეობს, თუმცა რა გაკეთდა და რა შედეგი გვაქვს, კაცმა არ იცის“**, – ამბობს **ქართველიშვილი.**

რაც შეეხება ამერიკასა და ჩინეთს შორის ტოლობის ნიშნის დასმას, ქართველიშვილი ამბობს, რომ ის, რაც 30 წლის მანძილზე არ გაუკეთებია პარტნიორ ამერიკას თანამშრომლობის კუთხით, გააკეთა ჩინეთმა. ანალიტიკოსის თქმით, ჯერ მარტო ამხელა ქვეყანა როგორ დახვდა პატარა ქვეყნის პრემიერ ღარიბაშვილს. ხოლო, ჩინეთი საქართველოს როგორც თანასწორ პარტნიორს და მეგობარ ქვეყანას ისე აღიქვამს.

**„ჩინეთი დაინტერესებულია საქართველოში დიდი და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებით. მაგალითად, ანაკლიის პორტის მშენებლობით, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ძალიან დიდი ტრამპლინი იქნება. ასევე, ჩინეთი დაინტერესებულია მსხვილი ეკონომიკური პროექტებით, რომელსაც საქართველოში განახორციელებს. აღარაფერს ვამბობ უვიზო მიმოსვლასა და ავიაფრენებზე, ასევე, მაღალი დონის თანამშრომლობასა და შეხვედრებზე. პრემიერ ირაკლი კობახიძეს მილოცვა თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ გამოუგზავნა ჩინით ისეთმა დაბალმა პოლიტიკურმა ფიგურამ, როგორიც მაგალითად, წალენჯიხის მერია. ისიც მაშინ გაგზავნის, ალბათ, ამერიკაში მილოცვას, თუკი ბაიდენი გაიმარჯვებს. ამიტომ ეს თავში წამორტყმის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში დასრულდა და თუკი ჩვენთან ვინმეს რეალური პოლიტიკური პარტნიორობა სურს, მათი მხრიდანაც ქმედით ნაბიჯები უნდა გადაიდგას“...**

ლიკა ბერიკაშვილი

# საბინაო კრიზისის ნიშნები საქართველოში



## დღეს ქვეყანაში მთავარი გამოწვევაა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პრობლემა!

## „ემიგრანტები თბილისში ბინებს აქვირებენ“?!

**სპეციალისტები საქართველოში საბინაო კრიზისზე ალაპარაკდნენ. საუბარია არა სამშენებლო სექტორში არსებულ გამოწვევაზე, არამედ მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაზე, როდესაც ხალხს აღარ შესწევს უნარი, უძრავი ქონება შეიძინოს მკვეთრი გაძვირების გამო.**

ასეთი კრიზისები განვითარებული ქვეყნებისთვის უცხო არ არის. მართალია იქ ცხოვრების დონე მაღალია, მაგრამ უძრავი ქონების ღირებულება კიდევ უფრო მაღალია, რის გამოც მომხმარებელი ვერაფრით „ეწევა“ გაძვირების ტენდენციას. საქართველოშიც, როგორც ჩანს, პრობლემა უკვე ჰორიზონტზე გამოჩნდა.

მოსალოდნელ საბინაო კრიზისზე საუბრობს ეკონომისტი **ოთო აბესაძე** და ფიქრობს, რომ თუ მოსახლეობის შემოსავლები არ დაეწია გაძვირების ტენდენციებს, ალბათ, საბინაო კრიზისამდეც მივალთ.

**„კრიზისის წინა პერიოდი შეინიშნება იმ კუთხით, რომ სამშენებლო სამუშაოების წარმოების ხარჯები, საშუალოდ, 40%-ით არის გაზრდილი. ამას ემატება ბიუროკრატიული რეგულაციები, რომელიც მივიღეთ სამთავრობო პოლიტიკის შედეგად, რამაც ასევე გააძვირა სამშენებლო ხარჯი. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ყველაფერი ჯამურად, გამოიწვევს წლიდან წლამდე უძრავ ქონებაზე ფასის ზრდას. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ ლარიზაციაზე, ეს ფასი მაინც დოლარშია წარმოებული და ადამიანების შემოსავლები ვერ ეწევა გაძვირების ტენდენციას.**

**ადამიანს არ შეუძლია, როგორც ევროპაში და ამერიკაშია, აიღოს იპოთეკური სესხი 20-30-40 წლით. აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა მოცემულობა, რომ უძრავ ქონებას, ძირითადად, ყიდულობენ არარეზიდენტები და საქართველოს მოქალაქეებისთვის, ფაქტობრივად, არ რჩება ის შესაძლებლობა, რაც უნდა იყოს. თუ დემოგრაფიულად ერი ვითარდება და ვიზრდებით, ადამიანებს სჭირდებათ საბინაო საკითხების მოგვარება, თუ ეკონომიკა და შემოსავლები არ დაეწია მიმდინარე ფასების ზრდის ტენდენციას, ალბათ, მივალთ საბინაო კრიზისამდეც“**, – განუცხადა **ოთო აბესაძემ** „ბიზნესპრესნიუსს“.

იხ. 9 გვ.



# გულქართლი მწერალი, დრამატურგი, მოძღვარი

## მერაბ ელიოზიშვილი – 90

### საქართველოს ხელისუფლების და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

**2024 წელს ცნობილ ლიახვისპირელ მწერალს, დრამატურგსა და მოძღვარს მერაბ ელიოზიშვილს დაბადებიდან 90 წელი უსრულდება!**

**ოკუპირებული ცხინვალის შემოქმედებითი ინტელიგენციის, გულმოშლილი დევნილი საზოგადოების სახელით, მოგმართავთ თხოვნით, რათა 2024 წელი გამოცხადდეს გულქართლი ერისკაცისა და მოძღვრის წლად!**

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს მწერალთა კავშირში, პატრიოტი ქართველის უკვდავსაყოფად, აქედანვე დაიწყოს სამზადისი:

**1. საქართველოს მწერალთა კავშირში უნდა შეიქმნას საიუბილეო კომისია;**

**2. ვფიქრობთ, იუბილე მოეწყოს შემოდგომის მიწურულს (ნოემბერში);**

**3. დაარსდეს მერაბ ელიოზიშვილის სახელობის პრემია;**

**4. თბილისის მერიაში დაისვას საკითხი, რათა დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მერაბ ელიოზიშვილის სახელი. იგი ხომ თბილისში, სიცოცხლის ბოლო ათეული წლები, ოჯახით საკუთარ ბინაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. გვჯერა, დედაქალაქის კეთილდღეობისათვის თავდადებული მერი, კახა კალაძე არ დაგვზარდება დიდი მამულიშვილის უკვდავსაყოფად!**

* * *

**„აიწეწება ფიქრის გორგალი, შემომატარებს ლიახვს და ფრონეს, მაჩაბლის მამულს, ღვთისგან კურთხეულს, ივერთ სამკვიდროს ვინ განაშორებს“**, – მართლაცდა, სევდისმომგვრელი იყო – მართალი კაცის ცხინვალქალაქთან განშორება.

როგორც ქართული ჟურნალისტიკის მაესტრო, პროფესორი ნოდარ ტაბიძე აღნიშნავდა, – **მერაბ ელიოზიშვილისათვის მოკვეთილი აფხაზეთი, იფქლმორეული სამაჩაბლო თუ ამღვრეული ჯავახეთი მხოლოდ ტკივილი როდია, ეს არის ყოველდღიური განსჯისა და განცდის საგანი, ამიტომაც არის მისი სიტყვა ესოდენ დამაფიქრებელი და ემოციური – ხან მრისხანე და შემტევი, ხან ცრემლიანი და დამყვავებელი.**

თვითონ კი, ქართული სიტყვის მეჩუქურთმე-რაინდი, ყოველგვარ მიკიბ-მოკიბვის გარეშე წერდა:

**– მამა იყო და მამად უნდა დარჩეს ქართველი კაცი საქართველოში; მამად სომხისა, ოსისა, მამად თათრისა, აფხაზისა, რუსისა, ჭკვიან და ღონიერ მამად. სხვებისაც, ვინც საქართველოს მომავალშიაც დაამშვენებს და მხარში ეყოლება ერთგულ, ნამდვილ მამულიშვილად! ეს ჭეშმარიტება მართავდა საქართველოს უძლეველობას, ეს იყო მისი ციხე-ბურჯი, მისი თამარი და მისი დავითი. ეს იყო და ეს იქნება, ეს უნდა იყოს მომავლის წყარო, საქართველოში მცხოვრები ყველასათვის – სომხის, ოსის, აფხაზისათვის... შინა ქართულ ღალატში მოთხვრილი ხელი თვითონ უნდა მოიკვეთოს ყველამ: ოსმაც, სომეხმაც, აფხაზმაც, რუსმაც, თათარმაც... ქართველმაც! მოსვრილი ხელით მამის უბეში, შვილი ვერც გაჩერდება და არც უნდა გაჩერდეს, არის გზები!**

თავის დროზე, ლიახვდალეული შემოქმედის შესახებ საკადრის სიტყვას არ იშურებდნენ ხელოვნების სახელოვანი მსახურნი: კინორეჟისორი **რეზო ჩხეიძე – მერაბ ელიოზიშვილი ბრწყინვალე მწერალია. მისი პროზა, პიესები, სცენარები არავისას ჰგავს. პიესა „ბებერი მეზურნეები“ მთელი ეპოქაა ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. როგორ მიაგნო ბატონმა მერაბმა ამ სამ ტკბილ მეზურნეს – ბუთხუზას, თედოს და სოსანას, მათ წარსულსა და მზით განათებულ გარემოს? ეს საიდუმლოა, კარგი და მომხიბვლელი საიდუმლო. მერე და როგორ ჩამოქნა იდუმალებით მოსილი გარემო სოსანასი ჯერ სცენარში და მერე კინოფილმში „დიდი მწვანე ველი“, რომელიც ასევე ბრწყინვალედ დადგა კინორეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა და სული შთაბერა ჩვენი დროის დიდმა მსახიობმა დოდო აბაშიძემ...**

კინორეჟისორი **მერაბ კოკოჩაშვილი – შენ იმ თაობას ეკუთვნი, რომელმაც 50-იანი წლების ბოლოს, სულ სხვა სურნელი შეიტანა ქართულ ლიტერატურაში. ეს სურნელი მხოლოდ წრფელ განცდას ასდის და იმდენად გაბრუებული იყო, რომ ამ სიმართლეს მოწყურებულ დროს, ქართული კინო თქვენკენ, ახალი ქართული მწერლობისკენ გამოექანა. შენც არ გიმტყუნია და მწერლებთან ერთად „თეთრი ქარავანი“ შემორეკე ქართულ კინოში... მე კარგად ვიცი, სად მოწანწკარებს ამ შენი სურნელოვანი ლიტერატურის წყარო. ერწოდან ან რაჭიდან მომავალს აბა როგორ შეიძლებოდა ისე ამევლო ცხინვალი, რომ პატარა, მყუდრო ჩიხში არ შემეხვია და ჭიშკართან შენებურად არ დამეძახა – „სეხნი!“**

ყოველი გაზაფხულის მოსვლას, „ქვეყნად ამოსვლა მწვანისას,“ რაღაც დაუოკებელი, შინ – წინაპართა სამკვიდროში ღირსეულად დაბრუნების სურვილით ელოდა. სამწუხაროდ, არ დასცალდა. 77 წლის სიტყვა ქართულის დიდოსტატს, მისთვის სათაყვანებელ ლიახვისპირა ქალაქში შესვლა ოცნებად დარჩა.

ოთხი იანვრის (2012 წ.) უძალო მზე დასალიერს გადაიხარა. დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მადლიერი საზოგადოება ცხინვალელ სასიქადულო მამულიშვილს, მერაბ ელიოზიშვილს გულისტკივილით ემშვიდობებოდა...

**რობერტ ოდიკაძე,**

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.**






# მარტოსული ნიკალა ჩვენი სიამაყეა!

### დანიაში, ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ნიკო ფიროსმანის გამოფენას 85 000-ზე მეტი ვიზიტორი ეწვია

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ბეილერის ფონდისგან მიიღო ოფიციალური სამადლობელი წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ 19 კვირის განმავლობაში ლუიზიანას მუზეუმში ფიროსმანის საგამოფენო სივრცეს ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული 85 000-ზე მეტი დამთვალიერებელი ეწვია. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.**

უწყების ცნობით, ვიზიტორთა უმეტესობამ პირველად შეიტყო ქართველი მხატვრის შესახებ.

როგორც კულტურის სამინისტროში აღნიშნავენ, ბეილერის ფონდმა, ასევე, მადლიერება გამოხატა გამოფენების კარგი ორგანიზებისათვის და მოხარული არიან, რომ გამოფენას ქართული დიასპორის ბევრი წარმომადგენელი ეწვია.

**„ჩვენ მივიღეთ ბევრი ცნობილი საინფორმაციო საშუალების, მათ შორის – Financial Times-ის, Frankfurter Allgemeine Zeitung-ის, Le Monde-ისა და Neue Zụrcher Zeitung-ის დადებითი შეფასებები. მარია ჯაგი თავის სტატიაში – „The hero of Georgia's avant-garde“, რომელიც Financial Times-ში გამოქვეყნდა, აღნიშნავს, რომ ფიროსმანმა ნამდვილად დაიმკვიდრა ადგილი ევროპულ მოდერნიზმში“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.

სამინისტროს ცნობით, შვეიცარიაში, ბეილერის ფონდში, ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა 2023 წლის 17 სექტემბერს გაიხსნა და 2024 წლის 28 იანვრამდე გაგრძელდა. გამოფენა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ბეილერის ფონდის, ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისა და „ინფინიტ არტის“ თანამშრომლობითა და ორგანიზებით გაიმართა.

**„მნიშვნელოვანია, რომ ეს არის პირველი და ისტორიული შემთხვევა, როდესაც ევროპაში ფიროსმანის შემოქმედება ასე მასშტაბურად წარმოჩნდა. დანიასა და შვეიცარიაში ფიროსმანის 48 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, რომელთაგან 47 ნახატი შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდს ეკუთვნის, ხოლო ერთი ნახატი შეირჩა მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმიდან.**

ინფორმაციისთვის: თითქმის ერთი წლის შემდეგ ნიკო ფიროსმანის 50-მდე ნამუშევარი საქართველოში უვნებლად დაბრუნდა და შესაბამის ფონდებში ჩაირიცხა.

**ევროპაში ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენების მოწყობის იდეა 2022 წელს „ინფინიტ არტის“ ხელმძღვანელის საქართველოში სტუმრობისა და კულტურის მინისტრთან მისი შეხვედრის დროს განიხილეს. გასული წლის ივნისში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, თეა წულუკიანისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის პირველი მოადგილის, ნიკა ახალბედაშვილის, ბაზელში ვიზიტისას გაიმართა მოლაპარაკებები ბეილერის ფონდის ხელმძღვანელ სამუელ კელერთან და გადაწყდა, რომ 2023 წლის შემოდგომაზე ფიროსმანის ნამუშევრები ბეილერის ფონდში გამოიფინებოდა. შემდგომ, 2022 წლის სექტემბერში, დანიაში ნიკა ახალბედაშვილი შეხვდა ლუიზიანას მუზეუმის დირექტორ პოლ ერიკ ტოინერს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2023 წლის გაზაფხულზე, ბეილერის ფონდში გამოფენამდე, ნიკო ფიროსმანის ნამუშევრებს ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი უმასპინძლებდა.**

**უცხოელი დამთვალიერებლისთვის ნიკო ფიროსმანის შემოქმედების სათანადოდ გაცნობის მიზნით რამდენიმეთვიანი კომპლექსური მოსამზადებელი პროცესი წარიმართა უცხოელი და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით.**

**2023 წლის მარტში ბეილერის ფონდის სარესტავრაციო განყოფილების ხელმძღვანელმა მარკუს გროსმა ქართველ რესტავრატორებთან – ნანა მანაგაძესა და ნელი სოსანიძესთან ერთად დეტალურად შეამოწმა საქართველოს მუზეუმებში დაცული ფიროსმანის თითოეული ნახატი, შეაფასა მათი ამჟამინდელი მდგომარეობა და კოპენჰაგენში ტრანსპორტირებისთვის მოამზადა 48 ნახატი. გამოფენის გახსნამდე, უცხოელებისთვის მხატვრის შემოქმედების გაცნობის მიზნით, ლუიზიანას მუზეუმმა სპეციალური მარკეტინგული კამპანია დაიწყო: ხუთი ნამუშევრის გამოყენებით შეიქმნა ფილმი ფიროსმანის შესახებ, რამდენიმე კვირით ადრე კოპენჰაგენის ქუჩებში გამოჩნდა სარეკლამო პლაკატები, ლუიზიანას მუზეუმის კლუბის 60 000 წევრისათვის მომზადდა პუბლიკაცია და დაიბეჭდა კატალოგი სათანადო ტირაჟით.**

**აღსანიშნავია, რომ საგამოფენოდ შერჩეული ნამუშევრები ტრანსპორტირებისთვის საერთაშორისო სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისად შეიფუთა, უვნებლად გაიგზავნა კოპენჰაგენში და ლუიზიანას მუზეუმში დაბინავდა. ექსპონატები საქართველოდან დანიაში უსაფრთხოდ ჩაიტანა სატრანსპორტო კომპანია Kunsttrans-მა. ტრანსპორტირების პროცესში მონაწილეობდნენ: ბეილერის ფონდის წარმომადგენელი ირაკლი ფურცხვანიძე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კახაბერ ჭუმბაძე, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უფროსი რესტავრატორი ნანა მანაგაძე და შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ქართული ფერწერისა და გრაფიკის ფონდების კურატორი ხათუნა კიკვაძე.**

**საგულისხმოა, რომ ასეთი თანამშრომლობა არა მხოლოდ დიდი ქართველი ხელოვანის შემოქმედების ევროპაში წარმოჩენას, არამედ მისი ნამუშევრების კვლევასა და პრევენციულ კონსერვაციას, ქართული სამუზეუმო საქმიანობის განვითარებას, თანამშრომელთა ტრენინგებსა და მათთვის უცხოელ სპეციალისტთა გამოცდილების გაზიარებას ისახავს მიზნად. კონსერვაცია-რესტავრაციისთვის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება ეროვნული მუზეუმის ფონდებში ფიროსმანისა და სხვა დიდი ქართველი მხატვრების შემოქმედების სათანადოდ დაცვისთვის უმნიშვნელოვანესია“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.

**კულტურის სამინისტროს ცნობითვე, მუზეუმებს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც, ფიროსმანის გამოფენის საორგანიზაციო საკითხების გარდა, ითვალისწინებს ქართული მხარის საჭიროებებს. ბეილერის ფონდის ინიციატივით შეიქმნება ინტერაქციული მრავალენოვანი ვებგვერდი, რომელიც მიეძღვნება ფიროსმანსა და მის შემოქმედებას და საქართველოს უსასყიდლოდ გადმოეცემა.**

# უსაქართველოდ აფხაზეთის გადარჩენაც კი წარმოუდგენელია!



## დამოკიდებული „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის მომავალი

**უკვე 15 წელია, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება თავგამოდებით ცდილობს, რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის“ ფართო საერთაშორისო აღიარებას თუ არა, გაეროს წევრი ამღიარებელი ქვეყნების რაოდენობის თუნდაც მცირედით ზრდას მიაღწიოს.**

**სწორედ ამ მიზნით ცდილობდნენ, შეეპარებინათ აფხაზი სპორტსმენები, კულტურის მოღვაწეები, სხვა სფეროების წარმომადგენლები სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებზე. დიდი ძალისხმევა გასწიეს ასევე სავაჭრო-სამრეწველო პალატებსა და სხვა ფსევდოსახელმწიფო სტრუქტურებთან შეთანხმებების გასაფორმებლად. აფხაზეთის ე.წ. ელჩები კი გამუდმებით ცდილობდნენ, ადგილზე აკრედიტებულ დიპლომატებთან გადაღებული ფოტოები ოფიციალურ კონტაქტებად გაესაღებინათ. აფხაზეთისთვის დიდ მოვლენად იქცა წევრობა დომინოს საერთაშორისო ფედერაციაში, რომელსაც იმხანად ვენესუელელი ხელმძღვანელობდა და სოხუმში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა, რომელსაც სულ 20-მდე მოთამაშე დაესწრო. აფხაზეთს თავისი საპატიო ადგილი უკავია ასევე ConIFA-ში – არაღიარებული ტერიტორიების საფეხბურთო ასოციაციების გამაერთიანებელ ფედერაციაში და ერთხელ „მსოფლიო“ ჩემპიონიც კი გახდა.**

შემდეგ დე-ფაქტო ხელისუფლებამ თამასის აწევა გადაწყვიტა და რუსეთ-ბელარუსის საკავშირო სახელმწიფოს წევრობა განიზრახა. სოხუმში პრეზიდენტი ლუკაშენკოც კი მიიწვიეს, რომელიც მართალია, აღფრთოვანებას ვერ მალავდა ამ „სამოთხის“ ბუნებით და თანამშრომლობის ჩამოყალიბების სურვილიც კი ახსენა, მაგრამ აფხაზეთი ამ დრომდე არ უღიარებია. ამის გარეშე კი, როგორც ცნობილია, საკავშირო სახელმწიფოში გაწევრიანება შეუძლებელია.

ბოლო დროს დე-ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო გააქტიურდა „ბრიკსის“ მიმართულებით, – როგორც ჩანს, მასში რუსეთის ამჟამინდელი თავმჯდომარეობა აიმედებს, რომელიც წლის ბოლომდე გაგრძელდება. „მინისტრი“ ინალ არძინბა გამუდმებით საუბრობს ამ სახელმწიფოთაშორისი გაერთიანების ღონისძიებების მაქსიმალურ რაოდენობაში მონაწილეობის აუცილებლობაზე. თუმცა ჯერჯერობით საქმე რუსეთის წარმომადგენლებთან შეხვედრებს ვერ გასცდა.

**2008 წლის შემდეგ რუსეთი აფხაზეთს მსგავს საკითხებში მართლაც მნიშვნელოვნად ეხმარებოდა და ამ მიზნით არც განსაკუთრებით მოწყვლად ქვეყნებზე ზეწოლას თაკილობდა – დაწყებული პირდაპირი მუქარითა და შანტაჟით, დამთავრებული ბანალური მოსყიდვით. თუმცა კრემლს ამაში უფრო მეტად ამოძრავებდა საკუთარი ინტერესი, აფხაზეთის აღიარების გადაწყვეტილება გაემართლებინა, ვიდრე სურვილი, აფხაზეთს საერთაშორისო არენაზე ფეხის მოკიდებაში დახმარებოდა, რადგან რუსეთს რეალურად დამოუკიდებელი აფხაზეთი არაფერში აწყობს.**

მოსკოვის მხრიდან ზეწოლამ და მოსყიდვამ გარკვეული შედეგები მოიტანა. სადღეისოდ აფხაზეთს თავად რუსეთის გარდა, ოთხი ქვეყანა აღიარებს – ვენესუელა, ნიკარაგუა, სირია და ნაურუ. წყნარი ოკეანის ჯუჯა სახელმწიფოებმა ვანუატუმ და ტუვალუმ აღიარების გადაწყვეტილებები მალევე გაიწვის: როგორც ჩანს, აშშ-სა და ევროკავშირთან გრძელვადიანი ურთიერთობები მათთვის უფრო პრიორიტეტული აღმოჩნდა კრემლის ერთჯერად ქრთამზე. გამორიცხული არაა, ოდესმე, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ვენესუელამ და ნიკარაგუამაც გადაიფიქრონ, მით უფრო, რომ კარაკასი ერთხელ უკვე ძალიან ახლოს იყო მსგავს ნაბიჯთან. მოსკოვის ყველა მცდელობის მიუხედავად, აფხაზეთი რუსეთისადმი ესოდენ ერთგულმა კუბამ და ჩრდილოეთ კორეამაც კი არ აღიარეს.

**სხვათა შორის, აღიარებამდე აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება მასპინძლობდა გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის წარმომადგენლებს, ახლა კი საოცნებოდ აქვს ასადის, მადუროსა და ორტეგას ოდიოზური რეჟიმების წარმომადგენლებთან შეხვედრები.**

ამასთან, ბოლო დროს აფხაზეთის საერთაშორისო აღიარების კუთხით რუსეთის აქტივობა საგრძნობლად შემცირდა. შესაძლოა, მოსკოვს უკრაინასთან ომის ფონზე რესურსების ზედმეტად ხარჯვა არ სურს. ან შესაძლოა, ამ გზით დასჯას ცდილობდეს ბოლომდე არდამჯერე აფხაზებისა! გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსკოვს არ აქვს სურვილი, დაძაბოს ურთიერთობები საქართველოსთან და გააღიზიანოს მისი მთავრობა, რომელთან ურთიერთობებშიც დათბობა შეინიშნება. ტყუილად ხომ არ განაცხადა ამასწინათ რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ, მოსკოვი თბილისთან ორმხრივი ურთიერთობების შემდგომ ნორმალიზებაზეა ორიენტირებულიო.

რომ შევადაროთ, გრენლანდია, შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია, რომლებიც ფორმალურად დამოუკიდებლები არ არიან, გაცილებით მეტ დამოუკიდებლობას ფლობენ, ვიდრე „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი. ასე, მაგალითად, შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია არა მხოლოდ არაღიარებული ConIFA-ს, არამედ UEFA-ს სრულუფლებიანი წევრები არიან. მეტიც, ჩრდილოეთ ირლანდია გაერთიანებული სამეფოსგან დამოუკიდებლად თანამშრომლობს ევროკავშირთან სავაჭრო და ბევრი სხვა მიმართულებით. გრენლანდიამ კი ევროკავშირი საკუთარი ნებით დატოვა და მასთან ცალკე შეთანხმებები გააფორმა.

**აფხაზეთს რა გააჩნია, უფრო სწორად, რა არ გააჩნია რუსეთის მიერ აღიარებიდან 15 წლის შემდეგ?**

უპირველესად, აფხაზეთმა ვერ მიიღო რეალური სუვერენიტეტი, რომლისკენაც ასე ისწრაფვოდა. მას არა აქვს უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები და დაიცვას საკუთარი ეროვნული ინტერესები. სტრატეგიული პარტნიორობისა და კანონმდებლობათა ჰარმონიზების საფარქვეშ რუსეთი სულ უფრო მზარდი ზეწოლით თავს ახვევს აფხაზებს მათთვის უცხო კანონებსა და რეგულაციებს. ამაზე მეტყველებს კანონპროექტები აპარტამენტებისა და უცხოეთის აგენტების შესახებ, ეკონომიკურ დანაშაულებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების ურთიერთაღიარების შესახებ შეთანხმება, რუსული კაპიტალის მიერ აფხაზურ სტრატეგიულ ობიექტებში მხოლოდ და მხოლოდ თავისი ინვესტიციების თავს მოხვევა და რიგი სხვა ნაბიჯები, რომლებიც აფხაზეთზე სრული კონტროლის დამყარებაზეა მიმართული.

მთელი ეს წლები მოსკოვზე აფხაზეთის ეკონომიკური დამოკიდებულება მხოლოდ იზრდებოდა. აფხაზური ენა გაქრობის პირას აღმოჩნდა, რაც არცაა გასაკვირი რუსეთზე სრული ორიენტაციისა და რუსიფიკაციის პირობებში. რუსების მიერ აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლების მიღების შემდეგ კი ვითარება კიდევ უფრო გაუარესდება და უკვე არა მარტო ენა, არამედ თავად აფხაზი ხალხიც სრული ასიმილაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

**მიწებიც კი აფხაზეთში ნელ-ნელა რუსეთის მფლობელობაში გადადის. ასე მოხდა სოფელ აიბღას შემთხვევაშიც, რომელიც ადლერის რაიონს მიუერთეს, ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის შემთხვევაშიც, რომელიც პრეზიდენტ პუტინის ერთპროვნულ საკუთრებაში გადავიდა.**

ამგვარად, აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ სულ უფრო ფორმალურ ხასიათს იძენს, რუსეთი კი სულ უფრო მეტად ითრევს მას საკუთარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეში. არგუმენტი – „რუსეთმა თავად გვაღიარა და მისი მხრიდან ანექსიის არ უნდა გვეშინოდეს“ – მყარად ნამდვილად ვერ ჩაითვლება: ზუსტად ასევე აღიარა რუსეთმა 2022 წლის თებერვალში უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის ოლქები, უკვე სექტემბერში კი ისინი თავის ტერიტორიად გამოაცხადა. ყარაბაღის მაგალითიც ნათლად აჩვენებს, რამდენად არასანდო გარანტორია რუსეთი მოკავშირეებისათვის.

**აფხაზები ნელ-ნელა თავადაც აცნობიერებენ რუსეთის დომინირებასა და ანექსიის მოახლოებულ საფრთხეს, რომლის თავიდან აცილება მარტივი არ იქნება. მაგრამ თუ რეალურად სურთ, შეინარჩუნონ ის, რასაც სუვერენიტეტს უწოდებენ, ალტერნატივა მაინც არსებობს.**

ჯერ კიდევ 2004 წელს თბილისში შემუშავდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების წინადადებები, რომლებიც სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციას, ომის ინსტრუმენტების გამორიცხვასა და ძალის გამოყენებაზე უარის თქმას ითვალისწინებდა. აფხაზეთს უნდა მინიჭებოდა განსაკუთრებული პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი სრული და ფართო ავტონომიით, ფისკალური კონტროლითა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში წარმოდგენილობით. ამავდროულად აფხაზეთს ეძლეოდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ეროვნული, რელიგიური და სხვა იდენტობების, ენისა და კულტურის დაცულობის, ეკონომიკური ზრდის გარანტიები.

**კიდევ უფრო დახვეწილი გეგმა იქნა შეთავაზებული აფხაზებისთვის 2008 წელს, აგვისტოს ომის დაწყებამდე. იგი გულისხმობდა საქართველოს ფედერაციულ მოწყობას აფხაზეთისთვის „ყველაზე ფართო ავტონომიის“ მინიჭებით, მასთან დაკავშირებულ საკითხებში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებების ვეტოირების უფლებით, საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერის პოსტის აფხაზებზე რეზერვირებით, ასევე აფხაზური ენის, კულტურისა და იდენტობის დაცულობის გარანტირებით.**

ეს და სხვა არანაკლებ საინტერესო ინიციატივები თბილისს სამუშაო მაგიდაზე დღემდე უდევს. ყველა ეს წინადადება კვლავინდებურად ძალაშია. მეტიც, სადღეისოდ საქართველოს უკვე შეუძლია, აფხაზეთს შესთავაზოს რეალური დაახლოება ევროკავშირთან, ამასთან ერთად კი – წვდომა შესაბამის ფინანსურ ფონდებზე, საინვესტიციო ეკონომიკურ პროგრამებზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, ხარისხიან განათლებაზე, კულტურისა და მეცნიერების მხარდაჭერაზე, დასაქმების შესაძლებლობაზე, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებაზე და ა.შ. რომ აღარაფერი ვთქვათ ევროკავშირთან მოქმედ უვიზო რეჟიმსა და თავისუფალ ვაჭრობაზე.

**დროა, აფხაზეთის მოსახლეობამ გვერდზე გადადოს წყენა და მოგონებები წარსულზე, რომელშიც, გულახდილად რომ ვთქვათ, ორივე მხარე დაზარალდა. დროა, სოხუმმა ემოციების გარეშე, ცივი გონებით განსაჯოს, სად და როგორ წარმოუდგენია საკუთარი მომავალი: ე.წ. დამოუკიდებელ აფხაზეთში, რომელიც რეალურად, სრულადაა დამოკიდებული რუსეთზე და მის მიერ საბოლოო შთანთქმის მოლოდინშია, თუ საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ რეალურად სუვერენული სტატუსით, უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის მყარი საერთაშორისო გარანტიებით, აფხაზური იდენტობის დაცვითა და რაც მთავარია, ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივით – ყველა გამომდინარე სიკეთითა და პრივილეგიით.**

**ეკა ცანავა**

## ტრამპის მოსვლით მასშტაბური დეპორტაცია დაიწყება

**თეთრ სახლში დაბრუნების შემდეგ აშშ-ის ისტორიაში დეპორტაციის ყველაზე მასშტაბურ ოპერაციას დავიწყებთ,** – ამის შესახებ აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა ჩრდილოეთ კაროლინაში მხარდამჭერებთან შეხვედრაზე განაცხადა.

რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენის რბოლაში ფავორიტი დონალდ ტრამპი ამბობს, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ბაიდენის ადმინისტრაციის ღია კარის პოლიტიკას სრულად გააუქმებს.



სიტყვით გამოსვლისას ტრამპმა ბაიდენის ადმინისტრაცია პოლიტიკურ დევნაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა და საკუთარ თავს „ამაყი პოლიტიკური დისიდენტი“ უწოდა.

**„მე თქვენ წინაშე ვდგავარ არა მხოლოდ როგორც თქვენი ყოფილი, და იმედია, მომავალი პრეზიდენტი, არამედ როგორც ამაყი პოლიტიკური დისიდენტი და თაღლითი რეჟიმის საჯარო მტერი. ეს გახლავთ თაღლითური და საშიში მანქანა. ეს არის ანტიდემოკრატიული მანქანა. ეს ადამიანები არიან ბანდიტები და მჩაგვრელები“,** – განაცხადა ტრამპმა.

* * *

**დონალდ ტრამპმა სამ შტატში გამართულ შიდაპარტიულ შეკრებაზე, ე.წ. კოკუსში გაიმარჯვა.**

„როიტერის“ ცნობით, აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა რესპუბლიკელთა უმრავლესობის მხარდაჭერა იოლად მოიპოვა მიჩიგანში, აიდაჰოსა და მისურიში.

**სამივე შტატში ტრამპმა დაამარცხა ერთადერთი კონკურენტი ნიკი ჰეილი და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენისკენ. მიჩიგანში ტრამპმა პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების ხმების 98% მიიღო, მას 1 575 ხმა ჰქონდა, ხოლო ნიკი ჰეილს – 36.**

**„როიტერის“ ცნობით, 2024 წლის საპრეზიდენტო მარათონში გადამწყვეტი შემდეგი კვირა იქნება, როდესაც 5 მარტს, აშშ-ში ე.წ. სუპერ სამშაბათი გაიმართება, რა დროსაც პრეზიდენტობის კანდიდატს ერთდროულად 15 შტატში აირჩევენ.**

# ჯანმრთელობის დაცვა თუ ჯანმრთელობა-შერყეულთა „რემონტი“?!

## საავადმყოფოების რაოდენობა კი არ უნდა გაიზარდოს, არამედ პირიქით, უნდა შემცირდეს!



**უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, რაც ალტერნატიულ მედიცინას ჩავუღრმავდი და რაც ადრიდანვე დიდ ინტერესს იწვევდა ჩემში, სულ უფრო და უფრო წინ იწევს ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა – გვაქვს კი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური?**

თქვენ რა აზრისანი ბრძანდებით? მე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ არა... არ არსებობს! როცა რაიმეს ვიცავთ, ეს ობიექტი უნდა არსებობდეს. როდესაც პოლიცია ბანკს იცავს, ხედავ, რომ ბანკი არსებობს და მას დაცვა სჭირდება. და ასეა სხვა ობიექტები. ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები კი რას იცავენ? ცდილობენ უკვე დაავადებული ადამიანები „გამოაჯანმრთელონ“ და ათასი ქიმიური საშუალებებით ერევიან მათ ორგანიზმში და თუ მაშინვე არა, მომავალში მაინც იჩენს გვერდითი მოვლენები თავს და ამიტომაც ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) მოსახლეობის უმეტესობა, უფრო მეტად ასაკში შესულები, ერთმნიშვნელოვნად ქრონიკულ პაციენტებს წარმოადგენენ.

რა არის ჯანმრთელობის დაცვა? ერთ უბრალო მაგალითს მოგიყვანთ: ძველად ჩინეთში ექიმები ყურადღებას აქცევდნენ პაციენტების ჯანმრთელობის შენარჩუნებას. ისინი ასწავლიდნენ მათ, როგორ ეცხოვრათ, ასწავლიდნენ გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს, სწორ კვებას და სხვ. თუ რომელიმე ექიმს პაციენტი ავად გაუხდებოდა, მას ხელფასი აღარ ეძლეოდა სანამ ავადმყოფი არ გამოჯანმრთელდებოდა. ჩინელი ექიმები ყოველთვის ცდილობდნენ, რათა თავიანთი პაციენტები დაეცვათ ჯანმრთელობის გაუარესებისგან, დისბალანსისგან, ექიმის მთავარი დანიშნულება ყოველთვის იყო პაციენტის განათლება ბუნებასა და დაავადებების გამომწვევ მიზეზებზე. ამიტომაც, ექიმი მასწავლებელი იყო. ექიმი – Doctor, როგორც ვიცი, მოდის ლათინური სიტყვიდან – „Docere“, რაც სწავლებას ნიშნავს. დღეს კი ეს დავიწყებას მიეცა.

დღევანდელი მედიცინის მოდელი გასული საუკუნეებიდან მოდის და ნიუტონის მოძღვრებას ეფუძნება, როდესაც სამყაროს განიხილავდნენ როგორც მოწესრიგებულ და ამავე დროს ღვთაებრივ მექანიზმს. მედიკოსთა აზრით ადამიანებიც, როგორც ამ ღვთაებრივი მექანიზმის მიერ შექმნილნი, ისეთივე აგებულების არიან. ნიუტონის დროს ადამიანის ანატომიას განიხილავდნენ როგორც რთულ ბიოლოგიურ მექანიზმს. იმდენად იყო გაბატონებული მექანისტური თვალსაზრისი, რომ ნიუტონის ეპოქის მოაზროვნენი სამყაროს მიიჩნევდნენ როგორც უზარმაზარი საათის მექანიზმს.

ექიმთა განათლების ჰორიზონტი ძალზე უმნიშვნელოდ შეიცვალა მეცნიერული ევოლუციის მრავალი წლის შემდეგაც. მედიცინა დღესაც განიხილავს ადამიანის სხეულს, როგორც კომპლექსურ მანქანას, რომელსაც შეიძლება ნაწილები გამოუცვალო (საპოხი მასალების გარეშე), ექიმის როლი კი არის ის, რომ გამოასწოროს ცუდად მომუშავე რომელიმე სპეციფიკური მექანიზმი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კალიფორნიის შტატში სამედიცინო სასწავლებლებსა და დაწესებულებებში უკვე ინერგება მკურნალობის ალტერნატიული მეთოდები. სხვა ალტერნატიულ მეთოდებს შორის წინა პლანზე დასაყენებელია სასიცოცხლო ენერგიით მკურნალობა, რომელიც აბსოლუტურად უნივერსალურია. უკვე გასაგები ხდება, რომ ენერგიის დინება ორგანიზმში გავლენას ახდენს ადამიანის სიცოცხლეზე. ენერგიის ნორმალური დინების დაბლოკვა იწვევს სხვადასხვა დაავადებებისა და ყოველგვარი ტკივილის გაჩენას.

ადამიანის, როგორც ყველა ცოცხალი არსების ორგანიზმში ენერგიის მოძრაობის განსაკუთრებული გზებია სისხლძარღვები, არხები, ე. წ. მერიდიანები, რომლებიც მთავარ ორგანიზმთან არიან კავშირში.

სასიცოცხლო ენერგიით მკურნალობისას პაციენტს ვაცლით დაბინძურებულ ენერგიას და მის ნაცვლად სასიცოცხლო, ჯანსაღ ენერგიას ვაძლევთ დაავადებულ ადგილზე ან მთელ სხეულში. ამ გზით მკურნალობის პროცესი ისე სწრაფად ვითარდება, რომ იგი ზებუნებრივად ეჩვენება ადამიანს, მაგრამ ეს ზებუნებრივი ფენომენი სინამდვილეში ბუნების ჩვეულებრივ კანონებს ემყარება. სწორედ ამას უსვამდა ხაზს წმ. ავგუსტინე, როდესაც ამბობდა: „სასწაულები ბუნების წინააღმდეგ კი არ ხდება, არამედ ჩვენი უცოდინრობის წინააღმდეგ ბუნების შესახებ“.

აქცევს კი დღევანდელი მედიცინა დაავადებათა იმ ძირითად წყაროს ყურადღებას, საიდანაც წარმოიშობა ესა თუ ის პრობლემა? მაგალითად – მკერდის სიმსივნის ძირითადი წყაროა სექსუალური ენერგეტიკული ცენტრის **(ჩაკრა, სანსკრ.)** გადიდება; შაკიკის დროს „მზის წნული“ (სოლარ პლექსუს), განსაკუთრებით უკანა მხარე გადიდებულია და სავსეა ჭუჭყიანი წითელი ენერგიით; ეპილეფსიის დროს კი ტვინის ორივე ნახევარსფეროს შორის ჭუჭყიანი ნაცრისფერი ენერგია არის მოსაშორებელი. პარკინსონის დაავადების დროს პაციენტის საწყისი ენერგეტიკული ცენტრი არის გამოფიტული, „მზის წნული“ ზედმეტად აქტიურია და სავსეა ჭუჭყიანი წითელი ენერგიით... მეტს აღარ გავაგრძელებ.

**ერთი მხრივ უდავოა, რომ კლასიკურმა სამედიცინო მეცნიერებამ უზარმაზარი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას ანტიბიოტიკებისა და ვაქცინების სახით, დიაგნოსტიკის ხელოვნებაც უმაღლეს დონეზე განავითარა, მაგრამ დღევანდელი სამედიცინო მეცნიერება ჯერ კიდევ სრულიად უარყოფს სასიცოცხლო ენერგიის („პრანის“) არსებობას.**

**პრანით მკურნალობით შესაძლებელია სწრაფი და გვერდითი მოვლენების გარეშე ეფექტური შედეგის მიღწევა.**

**აქედან გამომდინარე, სასურველია, რათა „პრანით“ მკურნალობის მეთოდები აღიარებული იყოს როგორც მკურნალობის უმაღლესი ფორმა და დაუყოვნებლივ იქნას შეტანილი სამედიცინო სასწავლებლების პროგრამებში.**

ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებმა, გარდა თავიანთი პაციენტების ცხოვრების სწორ გზაზე დაყენებისა, ჯერ თვითონ უნდა შეისწავლონ სასიცოცხლო ენერგიით მკურნალობა და მერე თავიანთ პაციენტებს ასწავლონ ამ მეთოდისა თუ სხვა ალტერნატიული მკურნალობის ელემენტები. ეს მეთოდები თვითმკურნალობისა, თუ მას ეფექტურად ვიყენებთ. ჯანმრთელობის დაცვაც სწორ და ეფექტურ ნიადაგზე დადგება.

ჩემი ღრმა რწმენით, საავადმყოფოების ქსელი კი არ უნდა გაიზარდოს, პირიქით, ნელ-ნელა უნდა შემცირდეს, რაც იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჭეშმარიტად ჯანსაღი მოსახლეობა გვყავს...

**P. S.** გთავაზოგთ „პრანით“ (სასიცოცხლო ენერგიით) მკურნალობას შემდეგი პრობლემებისთვის: სახსრების ტკივილი; შაკიკი (მიგრენი); საშვილოსნოს კისტა; მიომა; მტკივნეული მენსტრუაცია, მკერდის სიმსივნე და სხვ.

**ზურაბ ბოცვაძე,**
პროფესორი, სასიცოცხლო ენერგიით მკურნალობის სერტიფიცირებული ოსტატი (აშშ-ში).
599 90 94 96.

# პური არ გაძვირდება!



## იმპორტირებულ ფქვილზე ხელოვნური გადასახადი კიდევ 6 თვით შენარჩუნდა

**მთავრობის დადგენილებით, საქართველოში იმპორტირებულ ფქვილზე 250-ლარიანი გადასახადი 1 სექტემბრამდე გახანგრძლივდა. ამით წისქვილკომბინატების პრობლემა ნახევარი წლით მოიხსნა, მაგრამ ადგილობრივი მოსავლის რეალიზაციას ბოლომდე მაინც ვერ ეშველა. მიზეზი მარცვლეულის დაბალი ფასია.**

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, დადგენილება 2023 წლის 12 ივნისიდან ამოქმედდა და „ძალაშია 2024 წლის 1 სექტემბრამდე“. დადგენილებას ხელს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** აწერს ხელს.

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია გადაწყვეტილებით კმაყოფილია, მაგრამ მაინც მეტის მიღწევა სურს. მათი განცხადებით, იმპორტირებულ ფქვილზე გადასახადი იქამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ ფქვილსა და ხორბალზე რუსეთის მიერ დაწესებული მცურავი ფასი არსებობს.

როგორც ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ლევან სილაგავამ** განაცხადა, საიმპორტო გადასახადმა დადებითად იმუშავა, რადგან მის გარეშე საქართველო შესაძლოა, მისულიყო იქამდე, რომ წისქვილკომბინატები გაჩერებულიყვნენ.

**„წისქვილკომბინატები და მეხორბლეები იყვნენ არათანაბარ მდგომარეობაში ფქვილის იმპორტთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ რუსეთმა შემოიღო მცურავი ფასი ხორბალზე და იგივე გადასახადი ფქვილზე. გვინდა თუ არ გვინდა, რუსეთი გეოგრაფიულად ახლო მეზობელია და იქიდან მოდის ხორბალიც და ფქვილიც, შესაბამისად, ამ პირობებმა გამოიწვია ის, რომ ფქვილის სასარგებლოდ მივიღეთ გადაწყვეტილება. ამან გამოიწვია ის, რომ 2023 წლის ივნისში ფქვილის ყოველი მე-5 პარტია რუსეთიდან შემოდიოდა საქართველოში, რაც იყო ძალიან მძიმე პრობლემა. ეს პრობლემა რომ გაგრძელებულიყო, შეიძლება მივსულიყავით იქამდე, რომ წისქვილკომბინატებსაც ვერ ემუშავათ და ხორბლის ჩაბარებაც ვერ მომხდარიყო.**

**დადგენილების მიხედვით გადასახადი გრძელდება სექტემბრის თვემდე. რაც შეეხება ასოციაციის პოზიციას, დადგენილება უნდა გაგრძელდეს, სანამ იარსებებს მცურავი ფასი ხორბალზე, რომელსაც აბალანსებს ფქვილის საიმპორტო მოსაკრებელი. თუ მანამდე მოიხსნა მცურავი ფასი, უნდა მოიხსნას ფქვილის საიმპორტო ფასიც“...**

მისი შეფასებით, იმპორტირებულ ფქვილზე გადასახადის დაწესებამ დადებითად იმუშავა და სექტორში სტაბილურობა შეინიშნება. სწორედ ამასთან არის დაკავშირებული ის, რომ პურის ფასიც დასტაბილურდა.

**„დადგენილებამ სერიოზულად იმუშავა და დღეს ბაზარზე არის სტაბილიზაცია. აქედან გამომდინარე, დადგენილების გახანგრძლივება აგრძელებს ამ სტაბილურ მდგომარეობას, მათ შორის, ფერმერებისთვის ივნისის მოსავლის ჩაბარების კუთხით, წისქვილკომბინატების სტაბილური მუშაობისთვის. დღეს პურის ფასი სტაბილურია და არაფერი ემუქრება“**, – განაცხადა **სილაგავამ.**

განსხვავებული პოზიცია აქვს მარცვლეულის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ბენიაიძეს**. იგი გამოსავალს მაინც სახელმწიფოს მხრიდან მიდგომაში ხედავს, რაც ადგილობრივი მარცვლეულის ფასის სტიმულირებას მოახდენს.

**„ფქვილი მეზობელი ქვეყნებიდან მაინც საკმაო რაოდენობით შემოდის და სათანადო ზომები თუ არ მიიღეს, იმპორტი ისევ გაიზრდება. მოსაკრებელი დიდად ვერ იცავს. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჩვენმა ფერმერებმა რა ხორბალიც მოიყვანეს, იმასაც ვერ ყიდიან. ფასი 0,55 ლარი იყო და ისიც შემცირდა, 2 კვირის წინ 0,50 ლარი გახდა. მეორე წელია, თვითღირებულებას ვერ მივუახლოვდით. მოსავლის რაოდენობამ 2022 წელს და 2023 წელსაც 150 000 ტონა შეადგინა. ფართობები გაიზარდა, მაგრამ მოსავლიანობა ქვეყნის მასშტაბით დაბალი იყო“**, – განაცხადა **ბენიაიძემ.**

შეგახსენებთ, საქართველოში იმპორტირებულ ფქვილზე გადასახადის დაწესებას გასულ წელს ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია და ადგილობრივი მემარცვლე ფერმერები ითხოვდნენ. ისინი მიზეზად რუსეთის მიერ ხორბალზე დაწესებული საბაჟო გადასახადს ასახელებდნენ, რაც მათი აზრით, კონკურენციის არათანაბარ პირობებს ქმნიდა.

**ბექა დანელია**

# საბინაო კრიზისის ნიშნები საქართველოში

**(მეექვსე გვერდიდან)**

საქართველოსთვის ჯერ კიდევ უჩვეულო კრიზისის წინაპირობაზე გაამახვილა ყურადღება ფინანსისტმა, ყოფილმა ვიცე-პრემიერმა **თემურ ბასილიამ**. მას რჩება შთაბეჭდილება, რომ ამჟამად საბინაო კრიზისის წინაპერიოდია საქართველოში.

**„საუბარია, რომ საქართველოში ინფლაცია არის ნულოვანი, მაგრამ მე ზუსტად 1 წლის წინ ვიყავი ჩამოსული და პირადი შეფასებით შემიძლია ვთქვა, რომ ფასები 30-40%-ით არის გაზრდილი. კიდევ ერთ პრობლემაზე გეტყვით და მოვუწოდებ ყველას, რომ ამ მიმართულებით გაამახვილოს ყურადღება. დაახლოებით, 15-20 წლის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა საბინაო კრიზისი. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამის წინა პერიოდია საქართველოში. თხოვნა მექნება მთავრობასთან და ყველასთან, რომ ამას მიაქციონ ყურადღება, რადგან თუ საქართველოშიც ის დაიწყო, რაც შტატებში, შესაძლოა, ამან სერიოზული გართულებები გამოიწვიოს“**, – აღნიშნა **ბასილიამ.**

მანვე მიმართა და მოუწოდა ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ სწორედ ამ მიმართულებით გააძლიერონ ყურადღება და აღნიშნა, რომ დღეს ქვეყანაში გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხებიც, რაც „ნამდვილად არის გამოსარკვევი“.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბინებზე მოთხოვნა გაზრდილია გაძვირების პირობებშიც, რასაც ემიგრანტები უწყობენ ხელს. ფაქტობრივად, ისინი ქმნიან ამინდს ბაზარზე. შესაბამისად, როგორც უძრავი ქონების სამართლის სფეროს სპეციალისტმა **უჩა ზაქაშვილმა** აღნიშნა, სანამ ეს ფაქტორია ძალაში, სექტორს საფრთხე არ ემუქრება.

**„საბინაო კრიზისის ნიშნები ჯერ არ ჩანს. ამ მომენტისთვის ვერ ვხედავ მსგავს საფრთხეს. ხალხი მაინც ყიდულობს ბინებს. ცხადია, ეს ხდება ემიგრანტების დახმარებით, რომელთა გარეშეც რა ვითარება შეიძლება ყოფილიყო, ძნელად წარმოსადგენია. შეიძლება უცნაურია, მაგრამ ბინებზე მოთხოვნა მაინც იზრდება. ამიტომ ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ უახლოეს პერიოდში საბინაო კრიზისი იჩენს თავს, დღევანდელი მოცემულობა ამას გამორიცხავს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სწრაფად იცვლება რეალური ვითარება. წლების წინ არავინ ელოდა, რომ მიგრანტების გამო რადიკალურად შეიცვლებოდა ფასი, მაგრამ ეს პროცესი მივიღეთ, არაფერია გამორიცხული“**, – აღნიშნა იურისტმა,

**ეკა ბაქრაძე**

◎ რაგბი ჩვენი თამაშია! თამაშია

# პარიზსაც ავიღებთ!



**მაშ ასე – 17 მარტს პარიზში რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალში საქართველოს ეროვნული ნაკრები პორტუგალიის გუნდს შეხვდება. ვულოცავთ ბორჯღალოსნებს და დარწმუნებულნი ვართ, ორ კვირაში ახლა უკვე რიჩარდ კოკერილის გაწვრთნილი ჩვენი ოქროს ბიჭების მორიგი ტრიუმფით გავიხარებთ.**

### საქართველო – რუმინეთი 43:5

**პირველი ტაიმი 10:0**

იყო დრო, კარპატელები ჩვენი უხერხული მეტოქეობით გამოირჩეოდნენ, მაგრამ მათი დომინანტობა მეოცე საუკუნემ გაიყოლა. უფრო მეტიც – 21-ე ასწლეულში უკვე ბორჯღალოსანთა ჰეგემონია დამყარდა, რაც შარშანდელმა სარეკორდო სხვაობით დამთავრებულმა უთანასწორო ბრძოლამ დაგვირგვინა – 56:6. რაც შეეხება მიხეილ მესხზე გამართულ წლევანდელ ნახევარფინალს, მუხები ტრავმირებული სამი ლიდერის, მათ შორის გუნდის კაპიტან ივო დიუ კოჟოკარუს გარეშე გვესტუმრნენ მაშინ, როცა ჩვენი ნინიაშვილი და ლობჟანიძე დაგვიბრუნდნენ, რამაც კიდევ უფრო გაგვიზარდა შანსები, თუმცა ისიც სათქმელია, რომ შესვენებამდე უამრავი ხელსაყრელი მომენტი გავანიავეთ, მათ შორის მატკავამ – გარდასახვები და მხოლოდ ტაბუცაძის დადებულ ლელოებს დავჯერდით.

საბედნიეროდ, თამაშის განახლების შემდეგ ინტრიგა საბოლოოდ მოვკალით და ლელოების რაოდენობა 7-მდე ავიყვანეთ, თანაც ტრადიციული ანტიმოზ ივერიელის თასი სამშობლოში დავიტოვეთ.

გაგრძელება იქნება!

◎ ინფორმაცია

# მამარდაშვილის საოცარი მოგერიება, ვინისიუსის დუბლი და სკანდალური ფინიში „მესტალიაზე“

**ესპანეთის ლა ლიგის 27-ე ტურში „ვალენსია“ საკუთარ მოედანზე „რეალს“ დაუხვდა და ძალიან საინტერესო მატჩი 2:2 დასრულდა.**

რუბენ ბარახას გუნდისთვის ყველაფერი დიდებულად მიდიოდა: 27-ე წუთზე უგო დურომ გახსნა ანგარიში, ხოლო 3 წუთში რომან იარემჩუკმა დანი კარვახალის შეცდომით ისარგებლა და სხვაობა გააორმაგა.

პირველი ტაიმის მეხუთე კომპენსირებულ წუთზე კარლო ანჩელოტის გუნდმა ჩამორჩენა ვინისიუსის გოლით შეამცირა და ბრძოლაში დაბრუნდა. 54-ე წუთზე გიორგი მამარდაშვილმა დიდებული მოგერიებით იხსნა „ვალენსია“, როცა ჯუდ ბელინგემი გოლთან ახლოს იყო.

მომენტების გარეშე არც „ვალენსია“ ყოფილა, თუმცა ვერ გამოიყენა. 76-ე წუთზე ვინისიუს ჟუნიორმა დუბლი შეასრულა და წონასწორობა აღადგინა. ბრაზილიელმა ორივე გოლი ემოციურად აღნიშნა, მოგეხსენებათ, გასულ სეზონში „მესტალიაზე“ მას რასისტული შეურაცხყოფა მიაყენეს.

მასპინძლებს მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ორი მაგარი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ „რეალი“ ჯერ მეკარემ იხსნა, მერე გონსალესმა მცირედით არაზუსტად დაარტყა. დაძაბული და დრამატული მატჩი მაინც სკანდალურად დასრულდა: „რეალმა“ გაიტანა, ჯუდ ბელინგემმა შეაგდო, მაგრამ ბურთი, როდესაც ბრაჰიმ დიასის ჩაწოდების შემდეგ ჰაერში იყო, მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა გაისმა, ბელინგემის საგოლე დარტყმამდე 1 (!) წამით ადრე. გოლი გაუქმდა, რასაც დიდი პოლემიკა მოჰყვა და ფეხბურთელებმაც ერთმანეთში იჩხუბეს. მსაჯმა თამაშის დასრულების შემდეგ ჯუდ ბელინგემს წითელი ბარათიც უჩვენა.



გიორგი მამარდაშვილმა 3 დარტყმა მოიგერია, განსაკუთრებით ეფექტურად ბელინგემის წინააღმდეგ ითამაშა, გაშვებულ გოლებში კი ბრალი არ მიუძღვის. მიმდინარე სეზონში გიორგის 26 შეხვედრაში 31 გოლი აქვს გაშვებული და კარი მშრალად 8-ჯერ შეინახა.

„ვალენსია“ 37 ქულით მეცხრე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 9 მარტს, „ხეტაფეს“ უმასპინძლებს. „რეალი“ 66 ქულით ლიდერია, მაგრამ „ჟირონას“ და „ბარსელონას“ მასთან მიახლოების შანსი მიეცათ.

◎ ჭადრაკი

# გიორგი ჭანტურიამ სენაკს 25 წლის შემდეგ ჩემპიონობა მოუპოვა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 9-15 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა კუთხის 250-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. 9-წლამდელებში შესანიშნავად ითამაშეს გურჯაანელმა **სარა სალთხუციშვილმა** (მწვრთნელი **დავით ზარქუა)** და ოზურგეთელმა **ლაზარე ჩხარტიშვილმა** (დავით **მაღალაშვილი)**, რომლებმაც ცხრა შესაძლებლობიდან ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს.



8-8 ქულას მოუყარეს თავი 13-წლამდელებში – ქუთაისელმა **ანასტასია ჭიჭინაძემ** (გია **მენაბდე)**, და თბილისელმა **ანდრია კვირიაშვილმა** (იოსებ **კვირიაშვილი)**, 15-წლამდელებში სენაკელმა **გიორგი ჭანტურიამ** (მერაბ **ჯღამაძე)**.



განსაკუთრებით ჭანტურიას წარმატება გვინდა გამოვყოთ, რადგან მან სენაკს 25-წლიანი შესვენების შემდეგ მოუტანა ჩემპიონის ტიტული. როგორც გიორგის მწვრთნელმა მერაბ ჯღამაძემ გვითხრა, სენაკელთაგან მეოთხედი საუკუნის წინათ ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონობა გიორგი შურღულაიამ მოიპოვა. და აი, ქალაქს ახალი ტალანტი მოევლინა. იგი სენაკის ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მე-9 კლასის მოსწავლეა. ჭადრაკის თამაში 5 წლისამ ისწავლა. წლების განმავლობაში **ზურაბ ლიფონავა** ავარჯიშებდა. ბოლო ორი წელიწადია, **მერაბ ჯღამაძესთან** იმაღლებს ოსტატობას, კონსულტაციებს ბათუმელი **ჯამბულ მახარაძე** უწევს.

გიორგი სამეგრელო-ზემო სვანეთის მრავალგზის ჩემპიონია. საქართველოს ასაკობრივ პირველობებში თითოჯერ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ხვდა, ორჯერ მსოფლიოს პირველობებშიც მონაწილეობდა. და აი, 2 მარტს 15-წლამდელთა საქართველოს სასკოლო ჩემპიონატი მოიგო და მალე ევროპის პირველობაზე გაემგზავრება.

-მეოთხე წელიწადია, სენაკელ მოზარდ მოჭადრაკეებს მეცადინეობისა და აქტიური დასვენებისთვის კარგი პირობები შეუქმნეს, – გვითხრა მერაბ ჯღამაძემ. – სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ადგილობრივ სასპორტო გაერთიანებას (დირექტორი **ჯუმბერ ლაშქარავა)** მიხეილ ქურდოვანიძის სახელობის საჭადრაკო კლუბ „მხედრულისთვის“ 100 კვადრატულ მეტრამდე ფართობი გადასცა, სადაც ორი სამეცადინო ოთახი და ამდენივე საშეჯიბრო დარბაზი მოეწყო. ინვენტარსაც არ ვუჩივით. მადლობა გიორგის, რომ ამგვარი ზრუნვის პასუხად სენაკს ჩემპიონობა მოუტანა, თანაც 15-წლამდელებში. ვიმედოვნებთ, რომ მის კვალს „მხედრულის“ ბევრი წევრი გაჰყვება...

ახლა კი ასაკების მიხედვით საქართველოს ჩემპიონებისა და პრიზიორების შედეგებს გაგაცნობთ:

**15-წლამდელები. გოგონები.** თეკლა კოღუაშვილი (ქუთაისი, მწვრთნელი ს. გუბელაძე) – 7.5, მარიამ ცეცხლაძე (ბათუმი) – 7.5, ლული დიასამიძე (ქობულეთი) – 6.5; **ვაჟები.** გიორგი ჭანტურია (სენაკი, მ. ჯღამაძე) – 8, ერეკლე ტაბატაძე (თბილისი) – 7.5, ლუკა ხვედელიძე (თბილისი) – 6.5 ქულა.

**13-წლამდელები. გოგონები.** ანასტასია ჭიჭინაძე (ქუთაისი, გ. მენაბდე) – 8, ბარბარე აშოთია (ქუთაისი) – 8, ლიკა ჩხარტიშვილი (თბილისი) – 6.5; ვაჟები. ანდრია კვირიაშვილი (თბილისი, ი. კვირიაშვილი) – 8, დავით თათვიძე (ქუთაისი) – 7, გაბრიელ გაბადაძე (ქუთაისი) – 7 ქულა.

**11-წლამდელები. გოგონები.** თეა რუსიტაშვილი (ბორჯომი, დ. მაღალაშვილი) – 7.5, მარიამ გიორგაძე (ქუთაისი) – 7, ბარბარე შონია (ბორჯომი) 6; **ბიჭები.** რატი დიასამიძე (ბათუმი, თ. დიდმანიძე) – 7.5, გიორგი წულაია (ფოთი) – 7, ნიკოლოზ ჯიბლაძე (თბილისი) – 7 ქულა.

**9-წლამდელები. გოგონები.** სარა სალთხუციშვილი (გურჯაანი, დ. ზარქუა) – 9, სოფია ლიმარი (ლაგოდეხი) – 8, მარიამ რეხვიაშვილი (თბილისი) – 7; **ბიჭები.** ლაზარე ჩხარტიშვილი (ოზურგეთი, დ. მაღალაშვილი) – 9, გაბრიელ მეტრეველი (თბილისი) – 7, გიორგი კილაძე (თბილისი) – 7 ქულა.

**ვაჟა დანელია**

◎ ტატამზე

# სარდალაშვილის ვერცხლი




**ტაშკენტის გრანდ სლემი საქართველოს ნაკრებმა ვერცხლი მედლით დაიწყო, რომელიც გიორგი სარდალაშვილმა მოიპოვა.**

60 კგ წონით კატეგორიაში სარდალაშვილმა უზბეკი კამოლიდინ ბახტიოროვი, ტაჯიკი ჰაქდოდ გულოვი, ყაზახი იელდოს სმეტოვი და ფრანგი რომან პიკარი დაამარცხა, ხოლო ფინალში უზბეკ დოსტონ რუზიევს გაეჯიბრა, რომელთანაც მარცხი განიცადა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ამავე წონაში გამოდიოდა ლუხუმ ჩხვიმიანი, რომელმაც პორტუგალიელ როდრიგო ლოპეშს აჯობა, მაგრამ შემდეგ ყაზახ იელდოს სმეტოვთან წააგო და უმედლოდ დარჩა.

66 კგ წონით კატეგორიაში კი ლაშა ნადირაძემ პირველივე შეხვედრაში ისრაელის წარმომადგენელ ბარუშ შმაილოვთან განიცადა მარცხი.

◎ ლეგიონერი

# შენგელიას ტრავმა სერიოზული არ გამოდგა

**„ვირტუს ბოლონიას“ კალათბურთელის თორნიკე შენგელიას ტრავმა სერიოზული არ გამოდგა.**

შენგელიამ დაზიანება ევროლიგის ბოლო ტურში „ვალენსიასთან“ შეხვედრაში მიიღო, თუმცა გამოკვლევამ განსაკუთრებული ხარისხის ტრავმა არ აჩვენა და უახლოეს პერიოდში ის მოედანზე უნდა დაბრუნდეს. ჯერჯერობით, ზუსტი თარიღი უცნობია, თორნიკეს მდგომარეობას ექიმები ყოველდღიურად დააკვირდებიან.

ევროლიგის მიმდინარე სეზონში 32 წლის კალათბურთელი საშუალოდ 14 ქულას, 5.4 მოხსნას და 3.5 პასს აგროვებს. ამასობაში ფიბამ მორიგი რეიტინგი




გამოაქვეყნა, სადაც საქართველომ მსოფლიოში – 23-ე, ევროპაში კი მე-14 ადგილი შეინარჩუნა.

# დაცემა!

## 5 და 7 წლის ბავშვების გაუპატიურების ბრალდებით შიდა ქართლში 30 წლამდე ახალგაზრდა დააკავეს

**არსებული ინფორმაციით, დაკავებული არასრულწლოვნების ოჯახის ნათესავია.**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის 4 „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც არასრულწლოვნის გაუპატიურებას გულისხმობს. დანაშაული 15-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. კაცს ბრალდება უკვე წარედგინა და ის წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

## 10 წლის ბავშვს ათმა თანაკლასელმა სცემა

**მე-5 კლასის მოსწავლე 10-მა თანაკლასელმა ისე სცემა, რომ მოზარდმა ბიჭმა ტვინის შერყევა მიიღო და მას 1 თვის განმავლობაში მკურნალობდნენ. ქუჩური გარჩევა – ბულინგით და ჩაგვრით – თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში რამდენიმე თვის წინ მოხდა. მოზარდის მშობელი ამტკიცებს, რომ ამ მძიმე ამბავს სკოლის ადმინისტრაცია საგულდაგულოდ მალავდა და ოჯახმა ფაქტის შესახებ შემთხვევით შეიტყო.**

სკოლის დირექცია მე-5 კლასელი ბიჭის დედის მძიმე ბრალდებებს უარყოფს. ბულინგის შესახებ ინფორმაცია აქვს განათლების სამინისტროს.

## „ადამიანის მკვლელობა ასეთი სისასტიკით პრაქტიკაში არ მქონია...“



**22 წლის ქეთევან ჯავახიშვილის მკვლელობის საქმის პროკურორი ამბობს, რომ მსგავსი სისასტიკით ჩადენილი დანაშაული პრაქტიკაში არ ჰქონია.**

21 წლის არამზადამ ოთარ ცინდელიანმა, გოგონას სხეულზე 59 ჭრილობა დანით მიაყენა.

**„ამგვარი განსაკუთრებული სისასტიკით ადამიანის მკვლელობა არც მქონია პრაქტიკაში და წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, საკუთარი თვალით რომ არ მენახა.**

**ქეთევან ჯავახიშვილის სხეულზე არის 59 ჭრილობა მიყენებული, სხეულის თითქმის ყველა ადგილას. დანის პირი არის აღმოჩენილი თავში. ეს მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ იმ სიმძლავრით აქვს დარტყმული ბრალდებულს, რომ გადატყდა დანის პირი. კონკრეტულად ზურგის არეში არის მიყენებული ათეულობით ჭრილობა.ამ გადასახედიდან, გარკვეული შეფასებით, თუმცა საბოლოო დასკვნას ექსპერტი გასცემს, წაქცეულ მდგომარეობაში მყოფ ქეთევან ჯავახიშვილზე გააგრძელა ბრალდებულმა დანის გამოყენებით ჭრილობების მიყენება“**, – ამბობს საქმის პროკურორი მედიასთან საუბრისას.

## იტალიაში ორი ქართველი ქურდობის ფაქტზე გამოიჭირეს!

**იტალიური მედიის ცნობით, ქართველები რეჯო-დი-კალაბრიაში მდებარე ერთ-ერთ ბინაში, ფაქტზე დააკავეს. პოლიცია მეზობლებმა გამოიძახეს, რომლებმაც დაკეტილი ბინიდან საეჭვო ხმაური გაიგეს.**

ქურდობის მცდელობის გარდა, დაკავებულებს ბრალად ედებათ სხვისი ქონების დაზიანება და იარაღის უკანონო ფლობა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ერთ-ერთი დაკავებული იტალიაში არალეგალურად იმყოფებოდა.

## ტრაგედია თერჯოლაში, სამწვერას ჩანჩქერზე

**თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა საზანოში, მდინარე ძუსაში ოთხი ახალგაზრდა დაიხრჩო, ერთი წყლიდან ცოცხალი ამოიყვანეს, ის კლინიკაშია გადაყვანილი.**

არსებული ინფორმაციით 6 ადამიანი სამწვერას ჩანჩქერზე, ლაშქრობაში იმყოფებოდა. ერთ-ერთს ფეხი დაუცდა და მდინარეში ჩავარდა. მის გადასარჩენად მეგობრები მდინარეში გადახტნენ. ისინი წყალმა წაიღო. ერთი მოქალაქის ამოყვანა ადგილზე მისულმა მაშველებმა შეძლეს. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში კი ახალგაზრდა კაცმა დარეკა, რომელიც ხმელეთზე დარჩა და დახმარება ითხოვა. დაღუპულია სოფელ საზანოში მცხოვრები მამა-შვილი და სტუმრად მყოფი ორი ახალგაზრდა გოგო.

## მამა შვილს 3 მილიონის ქონების წართმევაში ადანაშაულებს

**მამა-შვილი ერთმანეთთან ქონებასა და ბიზნესს ვერ იყოფენ. 73 წლის პენსიონერი შვილს ძარცვაში ადანაშაულებს და ქონების დაბრუნებისთვის ბრძოლას სასამართლოში აგრძელებს. რობინზონ მაჭარაშვილი ამტკიცებს, რომ საკუთარმა შვილმა სახლები, მიწის ნაკვეთები, მანქანები, ნახევარი მილიონი დოლარი ანგარიშებიდან და ბიზნესი, თაღლითობის გზით მიისაკუთრა და ადვოკატების დახმარებით გადაიფორმა.**

მამა ამბობს, რომ ქონების მითვისების ოპერაცია იმ დროს დაიწყო, როდესაც 2022 წლის ზაფხულში თავის ტვინის ინფარქტი მიიღო და მოძრაობისა და მეტყველების უნარი დაკარგა. როგორ ყალბდებოდა დოკუმენტები და მინდობილობები, ვინ იდგნენ თაღლითური სქემის უკან, ოჯახურ დავაზე გამოძიება უკვე თვეებია მიმდინარეობს, თუმცა პენსიონერ კაცს დაზარალებულის სტატუსი ამ დრომდე არ აქვს.

## შსს-მ თბილისსა და რეგიონებში ნარკოდანაშაულისთვის 10 პირი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის, თბილისის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარის და გურიის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 10 პირი დააკავეს.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, ასევე, მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვის, შეძენა-შენახვის მცდელობის და გასაღების მცდელობის ფაქტებზე დაკავებული არიან: 1987 წელს დაბადებული ბ.შ., 1993 წელს დაბადებული ი.შ., 1977 წელს დაბადებული ე.ი., 2005 წელს დაბადებული გ.ლ., 2006 წელს დაბადებული ნ.დ., 1968 წელს დაბადებული გ.ო., 1978 წელს დაბადებული ე.მ., 1996 წელს დაბადებული ა.ს., 2002 წელს დაბადებული ა.ა. და 2001 წელს დაბადებული ა.ჰ.

დაკავებულებს შორის არიან როგორც საქართველოს, ასევე, ბელარუსის და ისრაელის მოქალაქეები. დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მშობლების მკვლელობაში მსჯავრდადებულ პოლიციელს სააპელაციომაც უვადო პატიმრობა მიუსაჯა

**მშობლების მკვლელობაში მსჯავრდებული ყოფილი პოლიციელი გიორგი ბეროზაშვილი თბილისის სააპელაციო სასამართლომაც დამნაშავედ ცნო და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, უვადო პატიმრობის სასჯელი ძალაში დატოვა.**



ბეროზაშვილისთვის გამოტანილი განაჩენი დაცვის მხარემ გაასაჩივრა, თუმცა მეორე ინსტანციამ პირველის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბეროზაშვილს უვადო პატიმრობა 2023 წლის 23 იანვარს შეუფარდა. საქმე ეხება 2022 წლის აპრილში მომხდარ დანაშაულს. გამოძიების თანახმად, ბეროზაშვილმა მძინარე მშობლები ჯერ მოკლა, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით, სახლს ცეცხლი წაუკიდა. ბეროზაშვილის მშობლების ცხედრებს იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდათ.

### სანთელი



**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო ერთეულის – არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცენტრის დირექტორი, პროფესორი**

**თეიმურაზ ჯორბენაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## თანამებრძოლებმა დაღუპული გმირების დედებს დედის დღე მიულოცეს



**საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედროებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ასევე სამშვიდობო მისიის შესრულებისას დაღუპული სამხედროების დედებს 3 მარტი მიულოცეს.**

სამხედრო მოსამსახურეები დაღუპული სამხედროების ოჯახებს საქართველოს მასშტაბით ყველა ქალაქსა და სოფელში ესტუმრნენ. მათ გმირების მშობლებს, დედის დღესთან დაკავშირებით, თაიგულები და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მისალოცი ბარათები გადასცეს. ჯარისკაცებმა თანამებრძოლების თავდადება და ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლი კიდევ ერთხელ გაიხსენეს.

## ქვეყანაში ძირითადად გრიპის ვირუსი ცირკულირებს...

**რესპირაციულ-ვირუსული ინფექციები ქვეყანაში კვლავ აქტიურია. მედიკოსების განცხადებით, ამ ეტაპზე ქვეყანაში ძირითადად „ა“ გრიპის ორი სეროტიპი ცირკულირებს. თუმცა გრიპის ვირუსთან ერთად ფიქსირდება სხვა რესპირაციულ- ვირუსული ინფექციები, მათ შორის კოვიდ 19-ის შემთხვევები. მაღალი რჩება სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტების მიმართვიანობაც, ყველა ასაკობრივ ჯგუფში.**

ინფექციონისტები შემთხვევების კლებას მარტის მეორე ნახევრიდან ვარაუდობენ, მოსახლეობას კი სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.

**„გრიპის ვირუსის ბუნებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია მარტის პერიოდში გვქონდეს ნაკლები შემთხვევები. თუ აღინიშნება რესპირაციული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, მაღალი ტემპერატურა, ხველა და ა.შ. ასეთ დროს, უმჯობესია ექიმთან ვიზიტი, რომ მოხდეს დაავადების დიაგნოსტირება“**, – განაცხადა ინფექციონისტმა ალექსანდრე გოგინავამ.

## სტიქიისგან დანგრეული ხიდი აღდგენილია



**ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიით გამოწვეულ პრობლემებზე მუშაობა გრძელდება. სოფელ ბახვში, მშვიდობაურის ცენტრიდან – ოროკისა და მაღალი ეწერის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია დასრულდა.**

განახლებული ხიდი ოზურგეთის მერმა, საკრებულოს წევრებთან ერთად დაათვალიერა. სამუშაოები მთავრობის მხარდაჭერით „სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების“ ფარგლებში განხორციელდა.



## თანამედროვე ფოლკლორი

### იცოდეთ, ლიბერასტებო!

დედა დარჩება დედად,
მამა დარჩება მამად,
ვისაც არა სურს ასე,
გადაშენდება თავად!

ქალი იქნება ქალი,
ვაჟი იქნება ვაჟი,
ჩვენ მაგრები ვართ ისე,
როგორც რომ სალი კაჟი.

გოგო იქნება გოგო,
ბიჭი კი კვლავაც ბიჭი,
არ მიგვატოვებს მადლი,
ღვთის ბოძებული ნიჭი!

ბიძას ერქმევა კვლავაც
ბიძა, მამიდას — მამიდა,
ჩვენს ისტორიას, ბედკრულნო,
ჩვენ არ დავიწყებთ თავიდან!

„ქალბატონი“ და „ბატონი“
დარჩება როგორც არის,
პედერესტი ვერ გახდება
ჩვენში რაინდის დარი.

ჩვენს ბიჭებს კვლავაც ერქმევათ,
დათა, ვაჟა და ზეზვა,
მოღალატეს და ავსულებს
არ მოაკლდებათ ჟეჟვა!

არც შარლ მიშელის რჩევას,
არც საკონტროლო წერას,
არ შევასრულებთ თუ მართლა
არ აგვიტანა წერამ.

„ენჯეოები“ და მსგავსი
ნაძირალების ჯოგი,
ზოგ-ზოგს მიქელა წაიყვანს,
„ტანკში“ შეძვრება ზოგი.

საყურიანი ბიჭები
ყველა „მამალი“ ქალი,
იქ აღმოჩნდება, სადაც სდის
ღრმა, ფეკალური წყალი.

ასეა მისტერ ენტონი,
ასეა მისის ფსაკი,
ჩვენს დარიგებას გერჩივნოთ
გააქირავოთ ტრ...კი.

ქართველნი კვლავ მზად არიან,
არ სჭამონ მტრების ჯავრი,
გვიფარავს წმინდა გიორგი
დიდი ლომისის ჯვარი.

**ბათარეკა გაბიდაური,**
**ხალხური მთქმელი**
(ტელ. 555-56-75-37)

## „საქართველოს გაცნობა კვარაცხელიას გამო გადავწყვიტე“...

## საქართველოს ტურისტულ პოტენციალს იტალიელი ჟურნალისტები ეცნობიან

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია იტალიის წამყვანი მაუწყებლის Rai-ს, TV Seria A-ს და გამოცემა Il Sole 24 Ore-ის წარმომადგენლებს მასპინძლობს. გავლენიანი იტალიური მედიის ჟურნალისტები საქართველოს ტურისტული მიმართულებების, ზამთრის კურორტების, მესტიაში მიმდინარე ფრირაიდის მსოფლიო ტურისა და თბილისის შესახებ რეპორტაჟებს, სიუჟეტებსა და სტატიებს ამზადებენ.

**„საქართველოს შესახებ ძალიან ცოტა ვიცოდი, თუმცა ეს ქვეყანა ნეაპოლში ხვიჩა კვარაცხელიას გამოჩენით გავიცანი. ჩემთვის ძალიან სენსიტიური თემაა, მე თვითონ ნეაპოლიდან ვარ და კვარაცხელიას გამო გადავწყვიტე უკეთ გამეცნო საქართველო, რომელიც ევროპული ქვეყანაა და იმსახურებს ევროპულ ოჯახში ყოფნას. მე საქართველოს გავაცნობ იტალიელებს, ამ ქვეყნის ტურისტულ ადგილებს, ზამთრის კურორტებსა და კულტურას“,** – ამბობს გამოცემა Il Sole 24 Ore-ის ჟურნალისტი მარკო ბელინაციო.



**„საქართველოში უკვე მეოთხედ ვარ, ახლა სვანეთში ვარ და ნანახმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. იტალიაში ძალიან ბევრი სათხილამურო კურორტი და ადგილია, მაგრამ სვანეთში გამორჩეული, პროფესიონალური და ძალიან მოსახერხებელი სათხილამურო ტრასებია. დიდი სიამოვნებით ბევრჯერ ჩამოვიდოდი საქართველოში“,** – აცხადებს ტურის მონაწილე ალესანდრო ალკატო.

**„აქ ჩამოვედი, რომ ვუთხრა იტალიელებს თუ როგორი ლამაზია საქართველო. ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო დღეები მაქვს, მოვხვდი სვანეთში, ულამაზეს კუთხეში, სადაც საოცარი სათხილამურო ადგილები და ფანტასტიკური მთებია, აქ ნამდვილი ბუნებაა. ვისაც თხილამურები უყვარს მათ ვეტყვი, რომ საქართველოს აუცილებლად ეწვიონ“,** – აცხადებს ტურის მონაწილე მიქელო პერელოტი.

პრესტურის მიზანია საქართველოს ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია იტალიასა და ევროპის ქვეყნებში. Rai-ს 20 მილიონზე მეტი მაყურებელი ჰყავს და 174 ქვეყანაში მაუწყებლობს.

## არაბები ჩვენი დაცული ტერიტორიებით დაინტერესდნენ

**გამოფენის მონაწილეები და დამთვალიერებლები საქართველოს დაცული ტერიტორიების ეკოტურისტულ და სათავგადასავლო მიმართულებებს გაეცნენ, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ.**

საქართველოს დაცული ტერიტორიებისთვის აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა მნიშვნელოვანი იყო ახალ ტურისტულ სეგმენტზე გასვლისა და ვიზიტორთა ნაკადების მოზიდვის თვალსაზრისით.

საუდის არაბეთიდან დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იზრდება, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე. აღნიშნულ ბაზარზე დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და შესაბამისად, ვიზიტორთა ნაკადების გაზრდას.





## ახალი ფესტივალი „გიზ-გიზი“ სვანეთიდან ბაკურიანში გადაინაცვლებს

**სვანეთი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალ პროექტს „გიზ-გიზს“ მასპინძლობს. გუდაურის შემდეგ ფესტივალი მესტიაში ტარდება. ადგილობრივებსა და სვანეთის სტუმრებს ფესტივალზე უამრავი სანახაობა ელოდებათ. დასწრება თავისუფალია.**

„გიზ-გიზის“ ფარგლებში გაიმართა კონცერტები, ფესტივალის მუსიკალურ გაფორმებაზე ბენდები და დიჯეებმა იზრუნეს, მოეწყო სამეწარმეო ბაზარი, კვების სივრცეები, პერფორმანსები, თამაშები და გასართობი აქტივობები. ფესტივალის მიზანია ზამთრის კურორტების პოპულარიზაცია და მეტი შიდა და უცხოელი ტურისტის მოზიდვა. მესტიის შემდეგ ფესტივალი ბაკურიანში გაიმართება.

## პარიზში ველოტაქსი გამოჩნდა

**პარიზში ველოტაქსის სერვისი ამოქმედდა. კომპანია Heetch Bike-ი ელექტროველოსიპედებით მგზავრებს სპეციალური მისამბელი კაბინით გადაიყვანს.**

კომპანიაში აცხადებენ, რომ ველოტაქსით მგზავრობა UBER-თან შედარებით 40%-ით უფრო სწრაფი და 20%-ით უფრო იაფი იქნება.

კაბინას აქვს ფანჯრები, სახურავი და სავარძლების გათბობის სისტემა, შესაბამისად, ველოტაქსით მგზავრობა ცუდ ამინდშიც იქნება შესაძლებელი.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 6 მარტს

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6596; ევრო - 2.8745;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3596;
100 რუბლი - 2.9106; თურქული ლირა - 0.0849;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5641;
1000 სომხური დრამი - 6.5882

**ამინდი 4 მარტისთვის**

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე –1, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე –4, | დღე +12 |
| დასავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +4, | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე –1, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე +3, | დღე +11 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge